გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N1 (9288) 14 იანვარი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

ასე თუ გაგრძელდა, ყოველთვის წინ წავალთ და არავითარ შემთხვევაში უკან

5

4 გიორგი გოგიშვილი - 2019 წლის პირველი ახალშობილი

არავინ მოჰკვეთს დიდოსტატს მარჯვენას

გაწვიმდა ჩემს ქალაქში და...

“ჩამონათვალში სულ 35 დასახელების წამალია” 3

7 “ჩვენს ბენეფიციარებს შიათ და ცენტრი არ აინტერესებთ”

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის 2019 წლის საშობაო ეპისტოლე 6



“სიკეთის ბარათები” სამტრედიაშიც ჩამოვიდა 8

თამუნა ჯინჭველეიშვილი - „წიგნების თაროს“ ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული 3

დუმბაძის წიგნები ჩემი სამაგიდო კი არა, სათავსასთუმლე წიგნებია!

არსებობს თუ არა სამტრედიაში ეპიდემიის გავრცელების საშიშროება? 3

ახალი, 2019 წლის ღამე

ნინო ნანიტაშვილი

2019 წლის შემობრძანება სამტრედიელებმა წელსაც ტრადიციულად აღნიშნეს. საახალწლო მსვლელობა 31 დეკემბრის დღის მეორე ნახევარში დაიწყო. სამტრედიის ქუჩებში გამოჩნდნენ ზღაპრის გმირები, ანიმატორები, თოვლის ბაბუა და სანტა კლაუსი, რომლებიც შემხვედრ ადამიანებს დამდეგს ულოცავდნენ და წინასაახალწლო განწყობას უმაღლებდნენ. უხაროდათ უფროსებს, თუმცა ყველაზე ბედნიერები პატარები ჩანდნენ.

როცა შეღამდა, რუსთაველის ქუჩიდან ქალაქის ცენტრალური ქუჩების მიმართულებით სამტრედიელი სანტების მსვლელობა მოეწყო. წითელი ლენტი მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ მერის მოადგილის, დავით ბახტაძის ვაჟთან, ამიკო ბახტაძესთან, ერთად გაჭრა.

კეთილმა თოვლის პაპამ საახალწლო სოფელში შეკრებილ პატარებს ადგილობრივი ხელისუფლების მომზადებული საჩუქრები დაურიგა.

წვიმიანი ამინდის გამო მომავლის პარკში დაანონსებული საახალწლო კონცერტი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში ჩატარდა, საახალწლო ჯადოსნურ ღამეს სამტრედიაში სიურპრიზების გარეშე არ ჩაუვლია. თეატრის სცენიდან სამტრედიელმა შაკო გოგავამ თავის რჩეულს, ნინი სტურუას ხელი სთხოვა.

12 საათისთვის ახალი წლის შემობრძანებას სამტრედია გრანდიოზული ფოერვერკით შეხვდა.

19 იანვარს ნათლისღებაა, გილოცავთ!

"იორდანესა შინა ნათელ გიღებიეს და ქრისტე შეგიმოსიეს, ალილუია!"

წმინდა იოანე წინამორბედის მიერ სხვათა მსგავსად მდინარე იორდანეში ნათელ იღო 30 წლის იესო ქრისტემ. როდესაც წყლიდან ამოვიდა და ლოცვად დადგა იგი, სულიწმინდა მტრედის სახით გარდმოვიდა და თავს დაადგა. გაისმა ზეცით: "ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვყავ" (ე. ი. მოვიწონე).

ამ დღეს პირველად გამოგვეცხადა ერთარსება სამება, ძე ღმერთი ნათელს იღებს, სულიწმინდა ღმერთი მტრედის სახით გარდმოვიდა, მამა ღმერთი კი სიტყვით ადასტურებდა ქრისტეს ღვთაებას.

ნათლისღების მომდევნო 40 დღეს ქრისტე უდაბნოში მარხულობდა და ლოცულობდა, ეშმაკი ცდილობდა მის ცდუნებას, თუმცა, იესომ სძლია იგი და ხალხში ქადაგება დაიწყო.

ეკლესია მაცხოვრის ნათლისღებას და ღვთის განცხადებას ძველი სტილით 6 იანვარს, ახლით კი, 19 იანვარს აღნიშნავს. იმ დღეს, როცა მაცხოვარი იორდანეში შევიდა, წყალი იკურთხა, ამიტომ იესო ქრისტეს ნათლისღებას წყალკურთხევასაც უწოდებენ.

შესაბამისი ღვთისმსახურება აღესრულება 19 იანვარს მოქმედ ტაძრებში.

ლევან გაბეჩავა

საკრებულომ რიგგარეშე სხდომა გამართა

"მართალია, წინა სხდომაზეც მოგილოცეთ, მაგრამ ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გილოცავთ კარს მომდგარ შობა-ახალ წელს. ბუნებრივია, იარსებებს განსხვავებული აზრი, ასეც უნდა იყოს, მაგრამ აუცილებელია, ვისურვებდი, ახალი წლიდან სიყვარულის ენით გვესაუბროს ერთმანეთთან, მწამს, ახალი წელი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტისათვის როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით" - საკმაოდ ვრცელი შესავლით დაიწყო რიგგარეშე სხდომა საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ნუგზარ ჯამბურიამ და დარბაზში მყოფთ, სრულიად საქართველოს გულწრფელად მიულოცა შობა-ახალი წელი.

" სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, " სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის შესაბამის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ანუ, დღის წესრიგში არსებულ ერთ, მაგრამ მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ მომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, შალვა არზუმანიანი გახლდათ.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2018 წლის შესაბამისი განკარგულებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 75 935 ლარით და განისაზღვრა 4 349 327 ლარით. შესაბამისად, შემცირდა გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების არაფინანსური აქტივების გეგმა 75 935 ლარით. ურთიერთისადმი კეთილი სურვილებით, უკეთესი მომავლის იმედით ტოვებდნენ საკრებულოს წევრები სხდომათა დარბაზს.

ლევან გაბეჩავა

ტრადიციულ თათბირზე ითქვა...

ლევან გაბეჩავა

სტიქიის (ძლიერი ქარის) შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობისა და მათი აღმოფხვრის თაობაზე მოისმინა ინფორმაცია ორშაბათის ტრადიციული თათბირის დასაწყისში ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსისგან, ბატონი ზურაბ გოგიასაგან, მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

სამუშაოები ძირითადად ან დასრულებულია, ან დასრულების ფაზაშია. განუცხადა თათბირის მონაწილეებს ზურაბ გოგიამ.

"მიმდინარე წელს ისევ ამოქმედდა სოფლის მხარდამჭერი პროგრამები. მართალია, მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა მიზერულია, თუმცა აუცილებლია აღინიშნოს, რომ თითოეულ თემზე, სოფელზე გაწერილი თანხები გონივრულად დაიხარჯოს, რაღა თქმა უნდა, მოსახლეობის აქტიური ჩართულობით." - მიმართა თავის წარმომადგენლებს ქალაქში, დაბასა და სოფლებში მუნიციპალიტეტის მერმა და მათგან იმ პრობლემების შესახებ მოისმინა, რომლებიც ადგილზე აქვთ და, შესაბამისად, მოსახლეობას აწუხებს.

პრობლემები ჩვეულებრივი, კარგად ცნობილია, თუმცა არა მოუგვარებელი.

მუნიციპალიტეტის მერმა ყურადღება გაამახვილა ქალაქში დაბასა და სოფლებში უსახურ შენობებზე და აღნიშნა, რომ მათგან ბოლოს და ბოლოს უნდა გავთავისუფლდეთ.

მუნიციპალიტეტში არსებულ სხვა საჭირბოროტო საკითხებზეც იმსჯელეს ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე, რომელიც ზუსტად ერთ საათს გაგრძელდა.

არსებობს თუ არა სამტრედიაში ეპიდემიის გავრცელების საშიშროება?



ქეთევან ჭელიძე

ლეტალური შედეგების გამო, რაც H1N1-ის ვირუსს მოჰყვა საქართველოში, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. მით უფრო, რომ სეზონური მწვავე რესპირატორული ინფექციების მატების ფონზე ძნელად გასარჩევია ერთმანეთისგან ვირუსული გრიპი და გაციება, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს, განცხადებით, ეპიდემიის გავრცელების საშიშროება ქვეყანაში არ არსებობს, იკლო დაავადებულთა რაოდენობამ. გარდაცვლილი 13 ადამიანის სიკვდილიანობის მიზეზი ვირუსის ფონზე გამწვავებული თანმდევი ქრონიკული დაავადებების გართულება და ექიმთან დაგვიანებული ვიზიტია. ექიმები რეკომენდაციებს იძლევიან, როგორ დავიცვათ თავი ვირუსისგან. აქტუალური გახდა პრეპარატი "ტამიფლუ", რომელიც არა მარტო გარკვეული კატეგორიის ადამიანებზე გაიცემა უფასოდ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის დირექტორის, მარინა თევზაძის, განმარტებით "ტამიფლუს" მოთხოვნით მათ ათეულობით ადამიანმა მიმართა. როგორც "ჯეო ჰოსპიტალსის" სამედიცინო ცენტრის დირექტორი ირაკლი ლალიძე გვეუბნება, სეზონური ვირუსული ინფექციებით, საავადმყოფო პაციენტებით გადატვირთულია. H1N1-ის შემთხვევები არ ფიქსირდება, მაგრამ დაავადება მძიმედ მიმდინარეობს და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. მწვავე რესპირატორული ინფექციების მიზეზით ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროებმა ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში არდადეგები გაეხანგრძლივებინათ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის გასარკვევად და რჩევების მისაღებად "სამტრედიის მაცნემ" "ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის სამედიცინო აბზულატორიულ ცენტრს მიაკითხა. ჩვენს კითხვებს ოჯახის ექიმმა, თერაპევტმა ია ხურცილავამ უპასუხა.

- ქალბატონო ია, თქვენს კართან პაციენტების გრძელი რიგი, ალბათ, სამტრედიაში დაავადებულთა რაოდენობის მატებაზე მეტყველებს.

_ ახლა მწვავე რესპირატორული ინფექციების სეზონია და, ცხადია, მომართვიანობა მატულობს, მაგრამ ეს არ არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ყველას აუცილებლად გრიპი აქვს. გაცივება სულ სხვაა და ვირუსული გრიპი - სხვა.

- როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისგან, რა სიმპტომებით მიმდინარეობს ვირუსული გრიპი?

- ჩვენ მოსახლეობას ვესაუბრებით, ავადობის შემთხვევაში რას უნდა მიაქციონ ყურადღება და როდის უნდა მიმართონ ამბულატორიას. არსებობს გრიპის მაგვარი ინფექციები, რასაც თან ახლავს მაღალი ტემპერატურა, ხველა, სურდო, ცხვირცემინება, თავის ტკივილი, უმადობა, შრომისუუნარობა, რაც იოლ ფორმებში მიმდინარეობს და დიდხანს არ გაჰყვება ავადმყოფს.

ვირუსული გრიპისთვის დამახასიათებელია, პირველ რიგში, სახსრების ტკივილი, შემცივნება, მაღალი ტემპერატურა _ 38-39 გრადუსზე მეტი, სუნთქვის გაძნელება. ძირითადად, ეს სიმპტომები ახასიათებს და დაავადებულმა ადამიანმა პირველივე დღეს უნდა მიმართოს ექიმს.

ცხადია, თბილისში, ქუთაისსა და ფოთში H1N1-ის გამოვლენის შემდეგ, ჩვენთანაც იმატა მომართვიანობამ. თუმცა, ვირუსული ინფექციების ოდენობა არ არის ბევრი. მაგალითად, გასულ კვირას ჩემს უბანზე რესპირატორული ინფექციით მოავადე ერთმა პიროვნებამ მომმართა. დღეს ჯერ მიღება არ არის დამთავრებული და უკვე სამი პაციენტი მყავს. არიან ისეთებიც, რომლებსაც ბინაზე ვაკითხავთ. ექთნებს ვაგზავნით მათთან, პატრონაჟი კეთდება. ისეთი ადამიანებიც მოგვმართავენ, რომელთაც ჰგონიათ, რომ გრიპი აქვთ და სინამდვილეში ასე არ არის, პანიკაშია ხალხი, შეშინებულია.

- დამეთანხმებით, ალბათ, რომ ბევრი ექიმთან ვიზიტს თავს არიდებს და თვითმკურნალობას მიმართავს.

- ასეთ დროს დაავადება მწვავდება. განსაკუთრებით რთულია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რისკჯგუფს წარმოადგენენ. ასეთებს მიეკუთვნებიან ქრონიკული დაავადების მატარებელნი. ვირუსული ინფექცია კიდევ უფრო ართულებს იმათ მდგომარეობას, რომელთაც აქვთ სასუნთქი გზების ქრონიკული დაავადება, ქრონიკული პნევმონია, ბრონქიტი, ფქოდი _ ფილტვის ობსტრუქციული ქრონიკული დაავადება, აგრეთვე, ჰიპერტონიითა და და დიაბეტით დაავადებული პაციენტების მდგომარეობას. თუ ვირუსი ალერგიულ დაავადებას დაერთო, მდგომარეობა კიდევ უფრო მწვავდება, ამიტომ საჭიროა დროული სამედიცინო ჩარევა.

- დაავადების გართულების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ საჭირო რაოდენობით შემოიტანა პრეპარატი "ტამიფლუ". მოდით, კიდევ ერთხელ განვმარტოთ, რა დროსაა მისი მიღება ეფექტური, რა შემთხვევაში გაიცემა და სად შეიძლება ამ მედიკამენტის შეძენა?

- "ტამიფლუ" არის გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატი. ჩვენ გვაქვს რეკომენდაცია, რომ იგი დაავადების პირველ დღეებშივე უნდა მიიღოს ავადმყოფმა. ჩვენგან გაცემული ფორმა 100-ის საფუძველზე პაციენტი მიმართავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, სადაც ამ წამლის მარაგი არსებობს. აქვე დავაკონკრეტებ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს ბოლოდროინდელი ინფორმაციით, "ტამიფლუ" უფასოდ გადაეცემათ როგორც სოციალურად დაუცველებს, ქრონიკული დაავადებების მატარებელ პაციენტებს, ბავშვებს, პენსიონერებსა და ორსულებს, ასევე ყველა მოქალაქეს, თუკი ექიმი აუცილებლობად ჩათვლის ამ მედიკამენტის დანიშვნას. მისი შეძენა შეიძლება "ავერსის", "პე-ეს-პე-სა" და "ჯი-პი-სი-ს" აფთიაქებში.

- სასურველია თუ არა, წინასწარ გავიკეთოთ გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა?

- ვაქცინაცია ძალიან კარგი საშუალებაა ავადობის თუ არა, გართულებების თავიდან ასაცილებლად. ამდენად, სასურველია გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება. იცით, ალბათ, რომ სეზონზე ყველა ექიმი ვიკეთებთ გრიპის საწინააღმდეგო აცრას, ასევე აუცილებელია აიცრას ხშირად მოავადე პირები, ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტები.

- ზოგჯერ გრიპით დაავადებულები ექიმის დანიშნულების გარეშე მიმართავენ ანტიბიოტიკებით მკურნალობას. რამდენად მისაღებია ამ ტიპის პრეპარატების გამოყენება და იძლევა თუ არა იგი შედეგს ვირუსული ინფექციების დროს?

- ცხადია, მოსახლეობა ამ კუთხითაც უნდა იყოს გათვითცნობიერებული. მისცემს თუ არა სიცხეს და დააცემინებს, ზოგიერთი ანტიბიოტიკს მაშინვე ღებულობს. ვირუსების დროს ანტიბიოტიკები საერთოდ არ ინიშნება. როცა ადამიანი არასაჭიროებისამებრ იღებს მათ, საჭიროების შემთხვევაში ნაკლებად მოქმედებს, რადგან ორგანიზმი ეჩვევა მას და ნაკლები ეფექტი აქვს.

- აქვე მინდა გკითხოთ ანტიბიოტიკოგრამაზე. სავალდებულოდ უნდა ითვლებოდეს თუ არა მისი გაკეთება, რაც, თავის მხრივ, დანიშნულების სწორად გაცემაში დაეხმარება ექიმს?

- ჩვენთან არ არის კარგად ფეხმოკიდებული ეს კულტურა - ყველა პაციენტმა გაიკეთოს ანტიბიოტიკოგრამა. მისი მეშვეობით დგინდება, თუ რომელ ანტიბიოტიკზე აქვს პაციენტს მაღალი მგრძნობელობა. ვიტყვი, რომ ანტიბიოტიკოგრამის გაკეთება თანხებზეც არის დამოკიდებული და ლაბორატორიაზეც. სამტრედიაში არსებობდა, მაგრამ ახლა ასეთი ლაბორატორია აღარ არის.

- და ბოლოს, როგორ დავიცვათ თავი ვირუსული ინფექციისგან და არსებობის შემთხვევაში როგორ ვუმკურნალოთ მას?

- უპირველესად, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნის დრო უნდა შევამციროთ, ან მოვერიდოთ. აუცილებლად გავიკეთოთ პირბადე, რომელიც ყოველ ოთხ საათში უნდა ვცვალოთ. შორს დავიჭირით თავი დაავადებული ადამიანისგან, დაახლოებით, ერთი მეტრი მანძილით. რადგანაც ეს არის აირწვეთოვანი ინფექცია, ვირუსი დახველების, დაცემინების დროს გადაიცემა. ძალიან ხშირად უნდა დავიბანოთ ხელები საპნით, რადგან ვირუსი ყველაზე მეტად ხელებზე ნარჩუნდება. სიმპტომების გაჩენისთანავე მივმართოთ ექიმს, მივიღოთ ბევრი თბილი სითხე, დაცული იქნეს წოლითი რეჟიმი და ექიმის მიერ მიცემული დანიშნულება.

"ჩამონათვალში სულ 35 დასახელების წამალია"

სოციალური მომსახურების სააგენტომ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა აამუშავა. პროგრამის მიზანია ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე პირად ითვლება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული მოქალაქე, რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება ათი ათასს; მოქალაქემ, რომელსაც შეუსრულდა საპენსიო ასაკი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი: შშმ ბავშვები, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები.

პროგრამა ვრცელდება შემდეგ დაავადებებზე: გულსისხლძარღვთა, ფილტვის ქრონიკული დაავადებები, ფარისებრი ჯირკვლის, პარკინსონის დაავადებები, ეპილეფსია, დიაბეტი (ტიპი მე-2).

სოციალურად დაუცველი პირები მედიკამენტებს იღებენ სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. საპენსიო ასაკის მოქალაქეები და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, აგრეთვე, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, მედიკამენტების შეძენისას სარგებლობენ, მინიმუმ, 50-პროცენტიანი ფასდაკლებით.

თუ როგორ უნდა მიიღოს მოსარგებლემ მედიკამენტი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, "სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის რაიონული განყოფილების სპეციალისტს, თინათინ დუნდუას და კომენტარი სთხოვა:

"მოსარგებლემ უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ ერთეულს და გაიაროს რეგისტრაცია ერთჯერადად.

ბენეფიციარმა ან მისმა ნდობითა აღჭურვილმა პირმა რეგისტრაციისთვის თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ნდობით აღჭურვილი პირი დამატებით უნდა ფლობდეს საკუთარი პირადობის დამადასტურებელ მოწმობას. ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს ორიგინალი.

ფორმა N IV-100/ა-ში მითითებული უნდა იყოს ქრონიკული დაავადების დადასტურებული, შესაბამისი ICD-10 კოდის მითითებით, მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების სახეობა და დღიური დოზა. დღიური დოზის მითითება სავალდებულოა. წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტო ვერ დაარეგისტრირებს ბენეფიციარს.

რეგისტრაციის შემდეგ, მედიკამენტის მისაღებად პირი მიმართავს აფთიაქს, სადაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტის საფუძველზე მიიღებს კუთვნილ მედიკამენტებს.

მომხმარებელს შეუძლია, ერთ ჯერზე მიიღოს მხოლოდ სამი თვის სამყოფი მედიკამენტი.

დიაგნოზის ან მედიკამენტის დოზის ცვლილების შემთხვევაში, მოსარგებლემ სააგენტოში უნდა წარმოადგინოს განახლებული ფორმა N IV-100/ა, რომლის საფუძველზე განახლდება რეგისტრაცია. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (1505) ანდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. ჩამონათვალში სულ 35 დასახელების მედიკამენტია".

ნინო ნანიტაშვილი

გიორგი გოგიშვილი - 2019 წლის პირველი ახალშობილი

2019 წლის პირველი ახალშობილი სამტრედიის „ჯეო ჰოსპიტალსში" ორ იანვარს, 3 საათსა და 30 წუთზე დაიბადა. გიორგი გოგიშვილის დედას, ბელა არაბულს ვაჟის შეძენა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულმა ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის სადროშოს მეთაურმა, მალხაზ იანტბელიძემ, მიულოცა.

2 იანვარს სამტრედიელი ჩოხოსანი „ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის სამედიცინო ცენტრში საგანგებოდ მივიდა და გიორგი გოგიშვილს საჩუქრად ქართული ჩოხა მიართვა.

"სამტრედიის მაცნე" მალხაზ იანტბელიძეს დაუკავშირდა, რომელიც კომენტარში 2 იანვრის ვიზიტის შესახებ გვესაუბრა: „პატრიარქის ჩოხოსნები ტრადიციულად 2 იანვარს გახლდით სამშობიაროებში და ამქვეყნად მოვლინება მივულოცეთ 2019 წლის პირველ ახალშობილებს, ქალებსა და ვაჟებს. მე სამტრედიის სამედიცინო ცენტრს მივაშურე, სადაც პირველი ახალშობილი ვაჟი დაიბადა. გიორგი გოგიშვილის დედას შვილის შეძენა მივულოცეთ, პატარა ქართველს კი ქართული ჩოხა მივართვით საჩუქრად. იმრავლოს ჩვენმა ერმა!"

გიორგი გოგიშვილის მშობლები აბაშის მკვიდრნი არიან. ახალშობილი სასწრაფო საკეისრო კვეთით წონით 3 კილოგრამი და 300 გრამი დაიბადა, სიგრძით - 51 სანტიმეტრი. მშობლები მადლიერებას გამოხატავენ მეან გინეკოლოგების, ზურაბ გვაზავას და ლალი ფახურიძის, ნეონატოლოგ ნელი თელიას მიმართ.

ნინო ნანიტაშვილი

ბაგა-ბაღებში საალმზრდელო პროცესი თვის ბოლოს დაიწყება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საალმზრდელო პროცესი 2018 წლის 25 დეკემბერს შეწყდა. ბაგა-ბაღებში ამ დროისთვის სტიქიისგან მიყენებული ზარალის აღმოფხვრა მიმდინარეობს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია აღდგენით სამუშაოებს, დაახლოებით, 14 სკოლამდელ დაწესებულებაში აწარმოებს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში საკვებ პროდუქტებზე ტენდერია გამოცხადებული. შვიდიდან ხუთი ტენდერი უკვე შედგა, ორი ჩაიშალა და ათ იანვარს თავიდან გამოცხადდა.

ხათუნა გაგუა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი. იმედია, იანვრის ბოლომდე ჩატარებული იქნება ყველა ტენდერი, ყველა სატენდერო დოკუმენტაცია მოწესრიგებული და მომწოდებლებთან ხელშეკრულებები გაფორმებული. თვის ბოლოსთვის შევძლებთ ოცდაოთხივე საბავშვო ბაღში სასწავლო-საალმზრდელო პროცესი დავიწყოთ. მოსალოდნელია, იმ დროისთვის გრიპის ვირუსის კლება იყოს დაფიქსირებული, რაც მოგვცემს საშუალებას, საბავშვო ბაღებში მუშაობა მშვიდობიანად გავაგრძელოთ".



ხათუნა გაგუას ინფორმაციით, 2018 წლის ბოლოს ყველა საბავშვო ბაღი მომარაგდა ჰიგიენური და სადეზინფექციო საშუალებებით, საჭიროების მიხედვით - ჭურჭლით და, რაც მთავარია, შეძენილ იქნა დეზობარიერები, რაზეც სურსათის ეროვნული სააგენტოს შემოწმების დროს ბაგა-ბაღებში ყოველთვის შენიშვნები ჰქონდა.

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიაში შშმ პირებს ეტლები დაურიგდათ

ნინო ნანიტაშვილი

12 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში 16 ბენეფიციარს ეტლი გადაეცა. საქველმოქმედო აქციის ფარგლებში სამტრედიას იმ დღეს არასამთავრობო ორგანიზაცია სტუმრობდა.

საერთაშორისო ასოციაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" 26 წელზე მეტია, რაც არსებობს და აერთიანებს სახელოვან, ღვაწლმოსილ ქალბატონებს, მრავალ პროექტს ახორციელებს სამშვიდობო, განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური და ჰუმანიტარული დახმარების სფეროში, მათ შორისაა შშმ პირთათვის დახმარების აღმოჩენა. შარშან საერთაშორისო ასოციაციამ სამტრედიაში 6 ეტლი ჩამოიტანა. წელს მათი რაოდენობა 10-ით გაიზარდა.

2019 წლის 12 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტს ოფიციალურად სტუმრობდნენ ასოციაციის თავმჯდომარე მაია კვეზერელი, საორგანიზაციო მდივანი ქეთევან გოგელია, ბუღალტერი ნონა სოსანაშვილი. ისინი ჯერ ქუთაისში იმყოფებოდნენ, სადაც ასევე ეტლები ჩაიტანეს.

საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლები სამტრედიაში შშმ პირების ოჯახის წევრებს შეხვდნენ და გაესაუბრნენ. აქციას ადგილზე ორგანიზება გაუწიეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სპეციალისტმა სოციალურ საკითხებში იზოლდა ნადირაძემ და მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალისტმა მამუკა კოპალეიშვილმა.

არავინ მოჰკვეთს დიდოსტატს მარჯვენას გაწვიმდა ჩემს ქალაქში და...

მრავალჯერ გვითქვამს, რომ სამტრედიაში ბოლო დროს ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, ქალაქი ახალმა ბაღებმა, სკვერებმა, ყვავილნარებმა დაამშვენა, მოასფალტდა ქუჩები, დაიგო ქვაფენილები, კარგის მეტი რა უნდა დაინახოს ამაში კაცმა, მაგრამ უკვე არაპროფესიონალთა თვალითაც შესამჩნევია, რომ სულ ახლახან შესრულებული სამუშაოები უხარისხოა. მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლისა და დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის ტერიტორია, რესპუბლიკის ქუჩის დასაწყისში აფთიაქების ავერსისა და პსპ-ს წინა ტერიტორია, რუსთაველის ქუჩა... აი, არასრული ჩამონათვალი იმ მონაკვეთებისა, სადაც სულ ახლახან დაგებული ქვაფენილი ამოცვივდა, სილა გადაირეცხა, ორმოები გაჩნდა, რომლებიც მცირედი წვიმის დროსაც გუბედ იქცევა.

"თუ გინდა ძლიერი საქართველო, ხალხის ღირსებაზე იზრუნე"_ მოძღვრავდა თავის დროზე ჭყონდიდელი დავით აღმაშენებელს.

და მაინც, რა კავშირშია ჭყონდიდელის შეგონება აღმაშენებლისადმი და დაზიანებული ქვაფენილიო._ იკითხოს იქნებ ვინმემ.

ყოველი სამუშაო ჩემი, თქვენი, ხალხის ფულით ხალხის კეთილდღეობისათვის კეთდება, შემსრულებლები კი გასამრჯელოს ღებულობენ, ჰოდა, ჩვენ, ხალხს სრული უფლება გვაქვს, ათასი საფიქრალით დამძიმებულებმა, უპრობლემოდ, უშიშრად, ღირსეულად ვიაროთ ჩვენი ქალაქის ქუჩებში და არა იხვის ჭუკებივით გუბეებში გაწუწულებმა. ვფიქრობთ, მეტი ყურადღება გვმართებს ტენდერებში გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოების ჯეროვნად შეფასებისას. დღეს არავინ მოჰკვეთს მარჯვენას დიდოსტატს, გამოჩნდეს ოღონდ...

ლევან გაგეჩაკა

ასე თუ გაგრძელდა, ყოველთვის წინ წავალთ და არავითარ შემთხვევაში უკან

ქეთევან ჭელიძე

ყოველ ახალ წელს ახალი სურვილები და იმედები მოაქვს. სურვილები პირადი თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობის, მშვიდობის, ქვეყნის სტაბილურობის, რომელიც ასეთი სათუო გახდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამო.

2018 წელი მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. პირველ რიგში, იმით, რომ ქვეყანაში ბოლოჯერ ავირჩიეთ პრეზიდენტი და თანაც - ქალი. მთელი წელი საქმეების კეთებისა და კრიტიკის ქარცეცხლში გავლიეთ. ბევრი რამ მოვიწონეთ, ბევრი დავიწუნეთ. დემოკრატიას ფართო გასაქანი მივეცით და ყველამ ყველაფრის მიმართ "ცოდნა" საქმით თუ არა, სიტყვით მაინც გამოვამჟღავნეთ.

ქვეყნის პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალურსა და სულიერების სფეროში მიღწეულ შედეგსა თუ უშედეგობაზე, გნებავთ, შეცდომებზე საუბარი ამ მომენტისთვის ჩვენი მიზანი არ არის. ინტერესს ახალი წლის მიჯნაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს. როგორი იყო გასული 2018 წელი, ამ კითხვით მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, მივმართეთ.

- ჩვეულებრივი წელი იყო, პროექტებით დახუნძლული. მოსახლეობის მოთხოვნები მაქსიმალურად გავითვალისწინეთ და ძირითადად, სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები განვახორციელეთ. ჩვენი შესაძლებლობის, ჩვენი ბიუჯეტის ფარგლებში თითქმის ყველაფერი ბოლომდე მივიყვანეთ.

- მაინც რა დაგრჩათ განუხორციელებელი?

- იყო პროექტები, რომლებმაც უამინდობის გამო გადაიწია, 2019-ში გადავიტანეთ და დღეს უკვე დასრულებულია. ეს ეხება გზების პროექტებს, ასევე, ბინების ფასადების მოწესრიგებას, რომელიც 2017 წელს დავიწყეთ. შემდეგ წელს უნდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ პროექტები მონიტორინგის სამსახურმა დაგვიწუნა. საქმე ეხება იმას, რომ 2017 წლის ხარჯთაღრიცხვა ვერ მოერგო 2018 წლისას. ახლა ხარვეზები გავასწორეთ და იმედი გვაქვს, მიმდინარე წელს ვიმუშავებთ ამ კუთხით.

- რამდენად უკეთესი იქნება 2019 წელი სამტრედიელებისათვის? რა პრიორიტეტებს ისახავს მუნიციპალიტეტის გაზრდილი ბიუჯეტი?

- ჩვენი ძირითადი საქმიანობა მოსახლეობის მოთხოვნებზეა აგებული. სოციალური პრობლემების მეტ-ნაკლებად აღმოსაფხვრელად, რომლებიც მოსახლეობას ისევ აწუხებს, დამატებითი ხარჯები გვაქვს გათვალისწინებული. გარდა ამისა, ისევ მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე, შეცვლა მოგვიწია ზოგიერთი იმ ინფრასტრუქტურული პროექტის, რომელიც 2019 წელს გქონდა გაწერილი. განსაკუთრებულს ვერაფერს ვპირდებით სამტრედიელებს, გარდა იმისა, რომ გავაგრძელებთ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას. ჩვენს ინტერესს შეადგენს წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგებაც. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით წელს უნდა დაიწყოს მისი დაპროექტება. ამასთან დაკავშირებით შარშან გერმანელები ჩამოვიდნენ, პირველადი სამუშაოები ჩაატარეს და დაგვპირდნენ, რომ წელს ჩვენთან ერთად პროექტების დაგეგმვას დაიწყებენ.

- პროექტი, რომელიც მასშტაბური იქნება და, ჩვენი ინფორმაციით, საკმაოდ ძვირადღირებული, მარტო ქალაქის ტერიტორიაზეა გათვლილი თუ სოფლებსაც მოიცავს?

- შევეცდებით ქალაქის საკანალიზაციო სისტემების სრულ რეაბილიტაციას. ასევე პროექტში ჩასმულია დაბა კულაში და ე. წ. გაღმა ზონა. მთიან სოფლებში, მოგეხსენებათ, ყველგან არსებობს სასმელი წყლის პრობლემა. გასულ წელს კიდევ უფრო გართულდა პირობები. გარდა იმისა, რომ კომუნისტების დროინდელი წყლის ავზებია იქ და შეცვლას საჭიროებს, დაშრა წყაროებიც. სერიოზულ სამუშაოებს ჩავატარებთ.

მოსახლეობის მოთხოვნაა გზების მოწესრიგებაც. დაახლოებით, 30 კილომეტრი გზა დავაგეთ 2018-ში, უფრო მეტს ვგეგმავთ 2019 წელს.

ყველაზე მეტი თანხა ბიუჯეტიდან სოციალურ სფეროზეა გამოყოფილი. გასულ წელთან შედარებით 100 ათასი ლარით გავზარდეთ სოციალური პროგრამების დაფინანსება. მოთხოვნის შემთხვევაში, ეტაპობრივად, როგორც შარშან, წელსაც ისევ გავზრდით თანხებს, შევეცდებით, მოსახლეობას ჩვენი ყურადღება არ მოვაკლოთ. ეს იქნება სამედიცინო დაფინანსება, მრავალშვილიანი ოჯახები, ინკლუზიური ბავშვები და სხვა მიმართულებები.

კულტურისა და სპორტის სფეროშიც გაზრდილი ბიუჯეტი გვაქვს. ვერ ვიტყვით, რომ ძალიან გავზარდეთ, მაგრამ კლება არ არის.

წელს ვგეგმავდით "სამტრედიელობა" ჩაგვეტარებინა, მაგრამ არჩევნებმა შეგვიშალა ხელი. 2019 წელს აუცილებლად ჩავატარებთ, რომელიც "ნიკოობის" გაგრძელება იქნება, რადგან ნიკო ნიკოლაძე ყველაზე დიდი სამტრედიელია. ჩვენ ტრადიციად ვაქცევთ "სამტრედიელობას" და ყოველი წელს აღვნიშნავთ

მას, რომელიც ზოგჯერ მასშტაბური იქნება, ზოგჯერ მოკრძალებული.

- რამდენიმე დღის წინ სამტრედიას ვიცე-გუბერნატორი ბესიკ გოფოძე სტუმრობდა. რა მიზნით ეწვია იგი ჩვენს მუნიციპალიტეტს?

- შემოიარა რამდენიმე სოფელი, შეხვდა მოსახლეობას, ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენლებს. როგორც წესი, რეგიონული თათბირების დროს ხელმძღვანელი პირები ინფორმაციას ვაწვდით მუნიციპალიტეტების შესახებ იმერეთის მხარის გუბერნატორს. ემსჯელობთ პრობლემებზე. გუბერნატორმა და ვიცე-გუბერნატორმა კარგი გადაწყვეტილება მიიღეს. ისინი ყველა სოფელში ჩადიან და არა ვინმეს გადმოცემით, არამედ უშუალოდ ადგილებზე ეცნობიან არსებულ სიტუაციას.

- როგორც ვიცით, ყოველ წელს არის საუბარი ინვესტორების მოზიდვაზე და მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ პროექტებზე, თუმცა შედეგი ნაკლებად ჩანს. 2019 წლისთვის რა რეალური პროექტები იგეგმება?

- ინვესტორების მოზიდვის მიზნით სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობთ. 2018-შიც რამდენიმე კომპანია იყო დაინტერესებული. განსაკუთრებით ეს სოფლის მეურნეობას ეხება. გვაქვს მოლაპარაკება ბაშის ტერიტორიაზე მოცვისა და კაკლის კულტურების მოშენებაზე. იქ არის თავისუფალი მიწები, რომლებსაც მოსახლეობა საძოვრად იყენებს, ამიტომ მათთან შეთანხმებაა საჭირო.

იმერეთში და, ზოგადად, ჩვენს ქვეყანაში ბევრი ადგილია ეკალ-ბარდებითა და ხე-ბუჩქებით დაფარული. ყველაფერს მოვლა სჭირდება და ყველაფერს უნდა ჰყავდეს პატრონი, ეს იქნება კერძო მესაკუთრე თუ სახელმწიფო. როცა სოფელი ვერ უვლის მიწას, უნდა გასხვისდეს და სამუშაო ადგილების შექმნის პირობაც იარსებებს. ამჯერად ჩვენს სოფლებში სიმინდის კულტურა მოჰყავთ. სამწუხაროდ, აღარ მოქმედებს ხვნა-თესვის პროგრამა და მოსახლეობას თვითონ უწევს ხარჯის გაწევა. ადრე სახელმწიფოსგან ფინანსდებოდა და ამან საკმაოდ კარგი შედეგი მოგვცა. ამჯერად რამდენიმე პროგრამა მოქმედებს, მათ შორის, "დანერგე საქართველოში". მთავარია, რომ გლეხობამდე მივიდეს ინფორმაცია და მათ თავად განსაზღვრონ პრიორიტეტები. ინტერნეტის ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ინფორმაციის ნაკლებობა არსებობს. გლეხი მაინც ძველი მეთოდით ამუშავებს მიწას და სკეპტიკურად ხვდება ნოვაციებს. სიახლისა და განვითარების გარეშე კი შეუძლებელია წინსვლა.

ჩვენთან არსებობს სოფლის მეურნეობის სამსახური, რომელიც ინვესტიციების მოზიდვის კუთხით პროპაგანდას ეწევა ბიზნესმენების დასაინტერესებლად.

- ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ მიგრაცია ყოველ წელს მატულობს, სოფელი ხალხისგან იცლება.

- ვიზალიბერალიზაცია ტაშის გრიალში რომ მივიღეთ, ეს მოსალოდნელი იყო. ყველგან და ყოველთვის ხდება: სოფლიდან ქალაქში მიდიან, იქიდან უცხოეთში, უფრო განვითარებულ ქვეყნებში, სადაც მეტი შემოსავალია. საზღვრებს ვერ ჩაკეტავ, მოსახლეობის დამაგრება შეუძლებელია, მით უფრო ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც ჩვენია. მთავარია, რომ ამ ქვეყანაში ადგილი არ აქვს რეკეტს, არსებობს მეწარმეების დაინტერესება. ჩვენც წინ მივდივართ, ვითარდება ქვეყანა, მაგრამ გაცილებით წინ არის ევროპა, გვისწრებს ჩვენი განვითარებით ვერ ვეწევით. ხალხიც იქ მიდის, სადაც უკეთესი პირობებია.

- ალბათ, კითხვა სამტრედიაში არსებული თერმული წყლის შესახებაც ტრადიციად გვექცა, რადგან საჭიროებისამებრ ისევ არ მოიხმარება. ამ საკითხზე მსჯელობა ვიცით, დიდი ხანია მიმდინარეობს. ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში კომპანია შპს "იმერეთი გრინერის" ხელმძღვანელობას გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადაედგა და პირობა შეესრულებინა.

- ჯერჯერობით, შედეგი არ გვაქვს, დაპირება დაპირებად რჩება. მაგრამ არ ვეშვებით ამ საქმეს. ჩვენი სავიზიტო ბარათია. ვიბრძვით, რომ სამკურნალო წყალი სათბურისთვის არ გამოიყენებოდეს. თუმცა ბიზნესის განვითარებასაც არ გვინდა იქ ხელი შევუშალოთ, ხალხი მუშაობს და ეს პრობლემაც არის. გვინდა ბიზნესმენები დავაინტერესოთ, რომ პრობლემების აღმოსაფხვრელად თანხები ჩადონ. ამ წყლითაც ვცდილობთ, ჩვენი ადგილმდებარეობა ტურისტების დასაინტერესებლად გამოვიყენოთ. ამ მიზანს ემსახურება ისიც, რომ უკვე გავაკეთეთ ბანერები შესაბამისი მითითებებით, ასევე - ბუკლეტები ჩვენი ღირსშესანიშნაობების შესახებ, გადავიღეთ კლიპი, რომელიც მალე სოციალური ქსელით გავრცელდება. არათუ საზღვარგარეთ, სამტრედიაში რამდენი რამ გვაქვს დასათვალიერებელი! ამ თვალსაზრისით მუშაობა ჩემს მოადგილეს, დავით ბახტაძესა და კულტურის სამსახურის უფროსს, ნატალია მანჯგალაძეს, დაევალათ. გარკვეული შედეგებიც მოჰყვება ამას ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის.

ინვესტორებს რაც შეეხება, ვინც ჩამოდის, ყველა გრძნობს სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებას, მაგრამ განხორციელდება თუ არა პროექტები, ეს საბაზრო პირობებზეა დამოკიდებული. თუ ზღვისპირა ქალაქები განვითარდება საქართველოში, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, სამტრედიაც განვითარდება.

- საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, რეორგანიზაციის საკითხი ისევ დადგა. განხორციელდება თუ არა იგი ჩვენს მუნიციპალიტეტში და რას ითვალისწინებს ცვლილებები?

- დიახ, რეორგანიზაციის საკითხი დგას დღის წესრიგში, მაგრამ ამას არ მოჰყვება ხალხის დათხოვა სამსახურებიდან. განახლება ყოველთვის საჭიროა და კანონიდან გამომდინარე მოხდება თანამშრომლების გადამზადება, რასაც ყველა გაივლის. მასშტაბურ რეორგანიზაციას კი არ ვგეგმავთ.

- რამდენად აქტუალურია დღეს საპენსიო კანონში შეტანილი ცვლილება, მინდა, გკითხოთ: თქვენ როგორ ხედავთ ამ ცვლილებას და რამდენად მზად იყო ქვეყანა ამისთვის?

- მისასალმებელია ეს ცვლილება. მართალია, საპენსიო რეფორმას რამდენიმე კრიტიკოსი გამოუჩნდა, მაგრამ იმ ფორმით, როგორც გვქონდა, შეუძლებელი იყო მუშაობის გაგრძელება. დაგროვითი პენსია საშუალებას აძლევს ადამიანებს, გაიუმჯობესონ მდგომარეობა. 40 წლამდე ახალგაზრდას შესაძლებლობა აქვს, დაგროვით საპენსიო ფონდში მეტი შენატანი ჰქონდეს.

- თქვენც იცით, რომ უმეტესად კრიტიკა მოჰყვა იმას, რომ კანონი ვერ არეგულირებს ამ საპენსიო თანხების მდგრადობას. გარკვეულ სიტუაციებში ხომ არ მოხდება მისი სხვა მიმართულებით გადატანა.

- ეს რატომ უნდა მოხდეს. იმ პოლიტიკურ სიტუაციაში, როგორშიც ახლა ვიმყოფებით, საკანონმდებლო ცვლილება არ არის მოსალოდნელი. მთავარია, ქვეყანაში იყოს სტაბილურობა. ასე თუ გაგრძელდა, ყოველთვის წინ წავალთ და არავითარ შემთხვევაში უკან. კრიტიკოსების გასაგონადაც მინდა ვთქვა: შეიძლება, გვქონდეს მუშაობაში ხარვეზი, მაგრამ ერთი რამ, რაც ამ ხელისუფლებამ გააკეთა, არის ის, რომ იგი ერთადერთია, რომლის მმართველობის დროსაც ომი არ ყოფილა. მე არ ვადანაშაულებ რომელიმე ხელისუფლებას, მაგრამ კარგად გვახსოვს, რომ სამტრედია იყო ყველა შეიარაღებული ძალის ეპიცენტრში გასული საუკუნის 90-იან წლებში და შემდეგაც. ვერც ერთი ხელისუფლება ვერ ასცდა და ვერაგი მტრის გავლენის ქვეშ რამდენჯერმე მოვექეცით. სტაბილურობა არის ქვეყნისთვის მთავარი.

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის 2019 წლის საშობაო ეპისტოლე

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო:

საუკუნეებიდან საუკუნეებს გადაეცემოდა მოლოდინი იმისა, რომ "მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს", რაც ნიშნავს "ჩვენთან არს ღმერთი" (ესაია 7,14) და რომ იქნება "სახელი მისი დიდისა განზრახვისა ანგელოზი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშვიდობისა, მამა მერმეთა საუკუნეთა" (ესაია 9,5-6).

2019 წლის წინ აღსრულდა ქვეყნიერების მხსნელის შესახებ წმინდა ესაიას ეს წინასწარმეტყველება.

ჭეშმარიტად ბედნიერნი ვართ, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, სრულიად თანაზიარნი გავხდეთ ენით გამოუთქმელი ამ სასწაულისა, თუმცა ღვთის დიდებას სრულად ვერასდროს შეიცნობს ადამიანური გონება და ვერც იესო ქრისტეს ღვაწლს გააცნობიერებს სრულად ოდესმე. ვიცით, რომ იგი

"გარდამოხდა ზეცით და ხორცნი შეისხა სულისაგან წმინდისა", რომ იცხოვრა კაცთა შორის, აღასრულა მრავალი სასწაული, მოგვცა ახალი მცნება და ჯვარს ეცვა, რათა ჩვენთვის ცხონება მოენიჭებინა...

ერთი შეხედვით, მარტივად ითქმის ეს, მაგრამ თუ დავუკვირდებით მომხდარს, გამაოგნებელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით: უფალი, შემოქმედი, მეორე ჰიპოსტასი წმინდა სამებისა, რომელიც მამის და სულიწმინდის მსგავსად, მხოლოდ საღვთო ბუნებისა იყო, ჩვენს გადასარჩენად იღებს ადამიანურ ბუნებასაც.

ყოვლისშემქმნელმა, ყოვლისშემძლემ, მარადიულმა, დაუსაბამომ, ცხოველსმყოფელმა... კაცობრივი სხეული და თვისებები (გარდა ცოდვისა) მიიღო, რათა გამხდარიყო თანაარსი ყველა ჩვენგანისა და ჩვენთვის მოენიჭებინა ცოდვათაგან განთავისუფლება და განღმრთობა.

ამიტომაც იგი, განკაცების შემდგომ, თავის თავში უკვე მარადიულად ატარებს ორ სრულიად განსხვავებულ, შეურევნელ ბუნებას: შეუქმნელობასა და შექმნილობას, დაუსაბამობასა და დასაბამიერობას, გარეშეუწერელობასა და გარეშეწერილობას; მკვდრეთით აღდგომამდე კი უკვდავებასთან ერთად ჰქონდა მოკვდავობაც, უვნებობასთან ერთად _ ვნებულობაც, უხრწნადობასთან ერთად_ ხრწნადობაც.

მან, ჭეშმარიტმა სიცოცხლემ, მოკვდავობა იწილხვედრა, რათა თვისი უკვდავებით სიკვდილი მოეკვდინებინა; ბუნებით უხრწნელმა ხრწნადი სხეული შეიმოსა, რათა ჩვენი ხრწნილება განექარვებინა, ჩვენი უგუნურება საღვთო ცოდნით განებრწყინვებინა და ცოდვისადმი მონება ცოდვაზე მეფობით შეეცვალა.

ამის ძალმოსილება მხოლოდ მას ჰქონდა!

მხოლოდ მას შეეძლო თავის საღვთო ჰიპოსტასში დაეტია ერთობა ადამიანური თვისებებისაც და უდიდესი მსხვერპლის ფასად შეემუსრა ათასწლეულების მანძილზე გამრავლებული და გამოვლენილი მთელი კაცობრიობის ცოდვის სისავსე.

ეს სასწაული ორ ეტაპად ხორციელდება:

წმინდა იოანე დამასკელის სწავლებით, პირველ ეტაპზე განკაცებული ღმერთის კაცობრივ ბუნებაში მოხდა ამ ბუნებისთვის დამახასიათებელი უმეცრების, უძლურების, არაცხოველსმყოფელობისა და მონურობის საღვთო ღირსეულობებით (საღვთო ცოდნით, შემძლეობით, ცხოველსმყოფელობით, მეუფებით) გამდიდრება, არსობრივი თვისებების შეუცვლელად, და ჩვენ, ქრისტესთან თანაზიარებით, მიწიერ ყოფაში მოგვეცა შესაძლებლობა ამ მადლით განმსჭვალვისა.

სულიერი ცხოვრებით, მაგალითად, მოიპოვება სიბრძნით მეტყველება, წინასწარმეტყველების ნიჭი, კურნების ძალა, სხვა სასწაულთქმედებათა უნარი... რომელიც პიროვნებაში არსებით ცვლილებებს არ იწვევს, ამიტომაც ღვთის ამ საბოძვარს ადვილად დაკარგავს ყველა, ვინც კვლავ ცოდვაში ჩაეფლობა.

მეორე ეტაპზე, ანუ მაცხოვრის ჯვარცმის, დაფლვისა და აღდგომის შემდეგ, იესო ქრისტემ თავისი განღმრთობილი კაცობრივი ბუნება თვისობრივად გარდაქმნა, ადამისეულ თავდაპირველ უცოდველ მდგომარეობას დაუბრუნა და, უფრო მეტიც, _ თითოეულ ჩვენგანს ღვთის საუფლოს მარადიულად დამკვიდრების შესაძლებლობა მიანიჭა.

ასე რომ, ცათა შინა დაუსრულებელი სიხარული და ნეტარება ელოდება ყველას, ვინც კი ქრისტეს გზით სვლას მოინდომებს და შესაბამის ღვაწლს აღასრულებს.

ქმნილებისადმი შემოქმედის ენით უთქმელი სიყვარულის ამ საოცარმა გამოვლინებამ მთელი ხილული და უხილავი სამყარო შეძრა: "ანგელოზნი ღაღადებენ, მთავარანგელოზნი გალობენ, აქებენ ქერუბიმნი და ადიდებენ სერაფიმნი, _ ყოველი დიდებული დღესასწაულობს დღეს, რამეთუ ღმერთსა ხედავენ ქვეყანასა ზედა და კაცსა, _ ცათა შინა; ქვესკნელსა, _ ზესკნელად განგებულებით და ზესკნელსა, _ ქვესკნელად კაცთმოყვარეობით" (ათანასე ალექსანდრიელი).

_ პირველი ვინ მიეახლება ბეთლემელ ყრმას? პირველი ვინ იგრძნობს და ვინ შეეგებება მომხდარ სასწაულს?

_ ძველი აღთქმის მართალი იოსები, უბრალო მწყემსნი და წარმართული სამყაროს ბრძენნი, _ შორეული სპარსეთიდან (ასურეთიდან) უჩვეულო ვარსკვლავის მსვლელობას გამოყოლილი მოგვნი, რომელთაც საოცარი სიმბოლური შესაწირი, _ ოქრო, გუნდრუკი და მური, _ მიართვეს მას.

ოქრო _ ვითარცა მეფეს,
გუნდრუკი _ ვითარცა ღმერთს,
და მური _ ვითარცა ღმერთკაცს, რომელიც კაცობრივი ბუნებით უნდა მომკვდარიყო და შეემურვათ.

წმინდა იოანე ოქროპირი ამ სამ ძღვენში ხედავს ადამიანისთვის უმთავრეს სიკეთესაც: ჭეშმარიტ რწმენას, სასოებასა და სიყვარულს, რომელთა აუცილებელი ერთობაც განაპირობებს ნებისმიერი პიროვნების უფლისკენ სწორად სვლას.

ინებოს ღმერთმა, ჩვენც, მოგვთა მსგავსად, ნელ-ნელა ავმაღლდეთ გულისხმისყოფისა და სრულყოფის კიბეზე, შევიმოსოთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, რომ ვპოვოთ ბეთლემის ბაგასა შინა მწოლი იესო და განვშოროთ უკეთურ ბრძანებებსა და მზაკვრობას ჰეროდე მეფისას, რომელმაც 14 000 ყრმა მოაკვლევინა იმ იმედით, რომ მათ შორის მოაკვდინებდა ახლად შობილ ძეს ღვთისას (მასში მომავალ მეფეს და მეტოქეს ხედავდა) და ამით თავის ამქვეყნიურ მეფობას გაიხანგრძლივებდა.

საუკუნეთა მანძილზე უფლამდე მისასვლელი გზა მუდამ ნარ-ეკლიანი იყო, ვიწრო და ძნელად სავალი, რადგან ყოველ ეპოქას თავისი ჰეროდე ჰყავს, რომელიც ძალაუფლების შესანარჩუნებლად არ ერიდება ბოროტ, ბილწ საქმეთ, არ ერიდება არც უდანაშაულო ყრმათა მოწყვეტას, ოღონდ ადამიანები თავის მონობაში ამყოფოს და შემოქმედი დაავიწყოს.

ჩვენს დროშიც მისი მოქმედებანი სხვადასხვა სახით ვლინდება: აბორტით მოწყვეტილ ჩვილთა სისხლი ცას შეჰღაღადებს, ნარკომანია, აზარტული თამაშები თუ უზნეო ცხოვრების წესი ათასობით ახალგაზრდას იწირავს და ეს დანაშაულებანი ჩვენგან პასუხს ითხოვს.

ჰეროდესეული სული იმასაც ცდილობს, ისეთი გარემო დაამკვიდროს, სადაც მისაბაძი აღარ იქნება სხვისთვის არათუ თავის გაწირვა, ნაცვალგების გარეშე სიკეთის ქმნაც კი; მისაბაძი აღარ იქნება ზნეობრიობა და სიწმინდე და ადამიანებს დახშული ექნებათ სინდისის ხმა.

ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ სიმართლე და სიკეთე განქარდება, ურთიერთპატივისცემა და პატიოსნება დაიკარგება, რაღა იქნება ჩვენი ყოფა?! თუ მეგობრობა, სიყვარული და თანადგომა ადამიანთა ბუნებიდან წარიხოცება, ვინ შეძლებს ამგვარ სივრცეში ცხოვრებას?! ასეთი საზოგადოება ხომ თავისთავად გახდება სიცოცხლის უუნარო და გადაგვარებისათვის განწირული, რადგან მას აღარ ექნება ძალა ბოროტების შეჩერებისა და ცოდვისთვის წინააღმდეგობის გაწევისა? ამასთან, გაქრება ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი ზღვარიც, ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

სამწუხაროდ, ეს მდგომარეობა თანდათან ჩვენთანაც ფეხს იკიდებს და ხალხს შიში და უიმედობა იპყრობს, მაგრამ არ უნდა გავტყდეთ, არ უნდა დაგვაბრკოლოს არც გამრავლებულმა ღალატმა და გაუტანლობამ, არც შურმა და მზაკვრობამ. დროა ასეთი! არსებული რეალობა უნდა მივიღოთ, როგორც ჩვენი რწმენის დიდი გამოცდა და შევძლოთ, განვეშოროთ ბოროტებას, ჩვენდამი ჩადენილ ავ საქმეთა გამო, _ სამაგიეროს გადახდას; ვეცადოთ, არ დავკარგოთ მომავლის იმედი, არ დავკარგოთ მოყვასის სიყვარული და მისდამი თანადგომის სურვილი, არ დავკარგოთ ღირსება და ძალისამებრ ჩვენისა, სიკეთით ვუპასუხოთ გამოწვევებს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ არის დიდი მცდელობა სიტყვის თავისუფლების დამახინჯებული აღქმის გაბატონებისაც.

თავისთავად სიტყვის თავისუფლება საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია, რომელიც ნებისმიერ მოქალაქეს საშუალებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ საჯაროდ გამოთქვას აზრი და ამისთვის გამოიყენოს მასმედიაც და სოციალური ქსელიც, რაც პიროვნული თავისუფლების განცდას ბადებს და ნანახისა თუ ნააზრევის სხვისთვის გაზიარების შესაძლებლობას ქმნის, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება რეალობის შეცვლა და სიტყვის თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა.

დღეს ადამიანები აღარ ერიდებიან სხვისი დამცირების მიზნით მათ უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას; სიცრუე და ბილწსიტყვაობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გახშირდა ტყუილის ყველაზე მძიმე ფორმაც, _ გაცნობიერებული, შეგნებული სიცრუე, _ ცილისწამება, რომელიც ზოგჯერ სიმართლის სახელით ვირტუოზულად ისე არის შებურვილი, რომ მსმენელს, თავდაპირველად მაინც, შეცდომაში შეიყვანს.

ამის მოქმედთ, ალბათ ჰგონიათ, რომ რაკი სხვაზე ფიზიკურად არ ძალადობენ და სხეულის დაზიანებას არ აყენებენ, ეს დანაშაული უმნიშვნელოა, რაც ძალიან დიდი შეცდომაა.

სიტყვას უჩვეულო ძალა აქვს, _ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რადგან მას ქმნადობის უნარი გააჩნია. არის სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი და სიტყვა _ სიკვდილის ტოლფასი.

ამასთან, არც ერთი ჩვენი ნათქვამი არ ქრება და იგი ჩვენი მამხილებელი იქნება ღვთის წინაშე. მაცხოვარი ბრძანებს: "ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სასამართლოში უნდა მიეცეს, ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას, რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს."(მათე 5,22)

იაკობ მოციქულიც მეტად მკვეთრ შეფასებას აძლევს ავის-მთქმელთ:

"ენა ცეცხლია, უსამართლობის სამყაროა იგი... ის ბილწავს მთელს სხეულს... დაუკავებელი ბოროტებაა და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე. მით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მით ვწყევლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს... ასე არ უნდა იყოს"(იაკობი 3,6-10).

თითოეული დღე, საათი და წუთი აღბეჭდილია ჩვენი კარგი ან ცუდი ქმედებით. კარგად ან ცუდად მეტყველებით. დროს ვერ დავაბრუნებთ და მასში ვერც ჩვენს ნაკვალევს წავშლით, თუ სინანული არ გვექნა. გულწრფელი, ღრმა სინანული, აღსარება და ზიარება ღვთისგან ნაწყალობევი ის საიდუმლოებებია, რომელთაც ძალუძთ მთელი ჩვენი განვლილი არასწორი ცხოვრების და მისი შედეგების აღმოფხვრა, ცოდვის წარხოცვა და ახალ ადამიანად ჩვენი გარდაქმნა, განწმენდა და სულიერი ამაღლება.

წმინდა იოანე ოქროპირი წერს: როგორი ცხოვრებითაც არ უნდა ვიცხოვროთ, სინანულს ვერ ავცდებით; ის, ვინც ამქვეყნად ცდილობს სინანულით უწამლოს თავისი სულის ცოდვით გამოვლინებებს, მარადიულად იხარებს, ხოლო ვინც ამქვეყნად შეჰხარის დროებით წარმავალ სიკეთეთ და ყველა საშუალებით მათ მოპოვებას ესწრაფვის მხოლოდ, აუცილებლად ინანებს საუკუნოდ.

პავლე მოციქული კი ბრძანებს: "ხორციელნი ხორცისას იზრახავენ, ხოლო სულიერნი, _ სულისას... ხორცის ზრახვა სიკვდილია, ხოლო სულის ზრახვა,_ სიცოცხლე და მშვიდობა (რომ.8,5-6).

"მეორე რჯულშიც" ვკითხულობთ: "თქვენს წინაშე ვიმოწმებ ცას და მიწას: სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ" (II სჯ. 30,19). მთელი კაცობრიობის და თითოეული ჩვენგანის არსებობის არსი ამ ორი გზიდან ერთერთის არჩევაში მდგომარეობს.

განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მომავალ თაობაზე, რათა შემდეგ მათ საყვედური არ გვითხრან, რომ არ დავეხმარეთ, გაცნობიერებული ნაბიჯები გადაედგათ თავისი ცხოვრების გზაზე.

მე ურთიერთობები მაქვს პედაგოგებთან და ნაწილობრივ ვიცი ის პრობლემები, რის წინაშეც დღეს საჯარო სკოლა დგას.

სასიხარულოა, რომ ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მასწავლებელთა ხელფასს გაზრდის და იზრუნებს მათი ავტორიტეტის ამაღლებისათვის; ასევე სასიხარულოა დაწყებით კლასებში "დედა ენის" დაბრუნება, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია; ჩვენ მხოლოდ აუცილებელ თემებზე შევჩერდებით და ვიმედოვნებთ, ახალი ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს მას.

პირველ რიგში სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სულისკვეთებით მოსწავლეთა აღზრდას; სასწავლო პროგრამებიდან, სამწუხაროდ, თითქმის ამოღებულია ჩვენი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებები, ყურადღება არ მახვილდება

ჩვენი ერის გმირულ წარსულზე, არ აღინიშნება გამოჩენილ პიროვნებათა და მოვლენათა ღირსსახსოვარი თარიღები; ხშირად არ ეწყობა ექსკურსიები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის გასაცნობად... უნდა გატარდეს სხვა ღონისძიებებიც, რომ ყმაწვილებში სამშობლოს სიყვარული გაღვივდეს და ისინი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ.

ლუკმა-პურის შოვნისთვის სახლიდან გასულ მშობლებს ძალიან ცოტა დრო რჩებათ შვილებისათვის, ამიტომაც სახელმწიფომ და, აქედან გამომდინარე, სკოლამ უნდა იტვირთოს როგორც სწავლების, ისე აღზრდის ფუნქცია.

სკოლაში საათები უნდა დაეთმოს პირად ჰიგიენას, ხელსაქმეს, სახელობო მიმართულებებს, ბუნებასთან ურთიერთობას, სოფლის მეურნეობის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნას, უნდა ფუნქციონირებდეს მუსიკალური, სამხატვრო, ლიტერატურული წრეები...

უმნიშვნელოვანესია სპორტული დარბაზებითა და მოედნებით სასწავლებლების უზრუნველყოფა და სპორტულ წრეებში ბავშვების გაერთიანება, რომ მათ ენერგია აქ დახარჯონ და ჯანმრთელ და ძლიერ პიროვნებებად ჩამოყალიბდნენ.

სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული, უნარი პატიებისა და სხვისი სიხარულით გახარებისა, სიმართლის დაცვისა და მეგობრის ერთგულებისა, დაჩაგრულის თანადგომისა და, საერთოდ, სიკეთის ქმნისა.

ამის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოზარდებს მივეცით საშუალება ჯანსაღ თაობად აღზრდისა; შევთავაზეთ სიკეთე და სიცოცხლე, დანარჩენი კი მათ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

როგორც აღვნიშნეთ, დღეს ხშირ შემთხვევაში დედ-მამა შვილს ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას; სამწუხაროა ის ფაქტი, რომ მშობელი ნაკლებად მონაწილეობს სკოლის ცხოვრებაში, რაც დაუშვებელია; სავალდებულო უნდა გახდეს პედაგოგებთან ხშირი შეხვედრა; მათ უნდა იგრძნონ თავიანთი პასუხისმგებლობა და მასწავლებლებთან ერთად ყველაფერი გააკეთონ შვილთან მიმართებაში სწორი მიდგომების განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება ოჯახს, ანუ მცირე ეკლესიას: ზოგადად ყველამ ვიცით, რომ იგი ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულს უნდა ეფუძნებოდეს. ყველამ ვიცით ისიც, რომ ოჯახში უსიამოვნებებიც ხდება, მაგრამ როგორც ცოლი, ისე ქმარი უნდა ეცადოს, რთული სიტუაცია მალევე განიმუხტოს და როგორც წმინდა მამები გვასწავლიან, დღე ისე არ უნდა დასრულდეს, რომ განაწყენებულებმა ერთმანეთს შენდობა არ სთხოვონ. გახსოვდეთ ისიც, რომ ჩხუბსა და დაძაბულობას შვილები უნდა განარიდოთ, მათი მგრძნობიარე სული მთელი სიმწვავით რეაგირებს ასეთ ქმედებებზე; განსაკუთრებით მძიმე კვალს კი მშობლების განშორება ტოვებს.

სამწუხაროდ, დღეს ხშირად ირღვევა ოჯახები, უმთავრესად ახლად შექმნილი. ვფიქრობთ, ამის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ახალგაზრდები ცხოვრებისთვის არ არიან მომზადებულნი და პატარა გაუგებრობაც საკმარისი ხდება განშორებისათვის.

მათ უნდა იცოდნენ, რომ თავდაპირველად უსიამოვნებები შეიძლება ჰქონდეთ, რადგან ეს არის ერთმანეთთან რეალური ურთიერთობების დაწყების პერიოდი. ეს არის ოჯახურ სივრცეში დათმობის და ამავე დროს, შენი ღირსების დაცვის, სიყვარულის გაცემისა და მიღების, სხვისი და საკუთარი თავის პატივისცემის დამკვიდრების პერიოდი.

ცოლ-ქმრისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოძღვრის ყოლას. ამასთან, კარგი იქნება, თუ ისინი აღსარებას ერთ სასულიერო პირს ჩააბარებენ (რა თქმა უნდა, შეიძლება სხვადასხვა მოძღვარიც ჰყავდეთ), რომ მისი საშუალებით თითოეულმა შედარებით უმტკივნეულოდ გააცნობიეროს თავისი შეცდომა და მდგომარეობა გამოასწოროს.

დაეყრდენით ღმერთს, ისწავლეთ მასთან საუბარი, გადაუშალეთ გული და იგი გიჩვენებთ საოცარ მაგალითს მეგობრობისა და შეწევნისა.

ცალკეული ადამიანი და მთელი მსოფლიოც დაუცველობის განცდამ სწორედ იმიტომ მოიცვა, რომ პიროვნება თავისი თავის იმედად დარჩა და

შემოქმედი დაივიწყა.

ბედნიერია ის, ვის გულშიც ღმერთმა თავისი ძის სული გამოავლინა (გალატ. 4,6) და აღავსო იგი ჭეშმარიტი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. ასეთი პიროვნებისათვის აღარ არსებობს შიში, ხვალინდელი დღისა, აღარ არსებობს შიში განსაცდელისა და თვით სიკვდილისაც, რადგან იცის და სწამს, რომ "ღვთის მოყვარულთ ყოველივე სასიკეთოდ წარემართებათ..." ხოლო, " თუ ღმერთი ჩვენსკენ იქნება, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ" (რომ. 8, 28, 31)!

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო მკვიდრნო საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ყოველნო ერნო, _ ჩვენთვის იშვა ყრმა ახალი, პირველსაუკუნეთა ღმერთი, ჩვენს ყველა სენთა და ტკივილთა დიდი მკურნალი.

ბეთლემის ბაგას ვარსკვლავი დასდგომია; ვიჩქაროთ, რომ თაყვანი ვსცეთ, ჩვილ იესოს, _აბრაამის აღთქმის განცხადებას, მოსეს რჯულის დასრულებას, ახალ პასექსა და ახალ ადამს, პურს ცხოვრებისას და ნათელს სოფლისას, ძეს ღვთისას და ძეს კაცისას, გზას, ჭეშმარიტებასა და სიცოცხლეს.

შორებელთა და ახლობელთ გვიხმობს ღმერთი ჭეშმარიტი, გვიხმობს ხანდაზმულთ და ყრმებს, ახალგაზრდებს, გვიხმობს დამცირებულთ და შეურაცხყოფილთ, ქვრივობლებს, განსაცდელში მყოფთ, მდიდართ და გლახაკთ, ჩინებულთ და უჩინოთ, ერსა და ბერს.

არა აქვს მნიშვნელობა, მისკენ ჩვენი გზის სავალი ბეთლემელი მწყემსებივით ხანმოკლე იქნება, თუ მოგვებივით ხანგრძლივი, მთავარია, ვიპოვოთ იესო, ვიპოვოთ ყოვლადწმინდა მარიამი, ჩვენი გამორჩეული მფარველი, და აღარც განვეშოროთ მათ სიცოცხლის ბოლომდე.

იესო ქრისტეს მოწყალებით, ღვთისმშობლის მეოხებით, ღმერთმა ბედნიერი შობა-ახალი წელი მომადლოს თითოეულ თქვენგანს, სრულიად საქართველოს და მთელ მსოფლიოს.

ყველას გისურვებთ უფლის მადლით აღვსებას!

ღმერთს ებარებოდეთ, იხარეთ ორსავ სოფელსა შინა!

სიყვარულით
თქვენთვის ძლიერველი,
ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

"ჩვენს ბენეფიციარებს შიათ და ცენტრი არ ინტერესებთ"

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიელმა უმწეოებმა უფასო სასადილოში ბოლოს 31 დეკემბერს ისადილეს. 11 იანვრის მდგომარეობით ჯერ კიდევ გაურკვეველია, "სახლი თანადგომა" თავისი ბენეფიციარების გამოკვებას როდიდან შეუდგება.

ააიპ "სახლი თანადგომამ" ტენდერი 2018 წლის დეკემბერში, 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე, გამოაცხადა.

კვების პროდუქტების შესყიდვაზე ტენდერი 8 იანვარს გაიმართა, სადაც სამი გამარჯვებული გამოვლინდა: სამტრედიის, ქუთაისისა და ბათუმის ინდმეწარმეები.

შესაბამისი დოკუმენტების სრულად წარმოდგენის შემდეგ სამივე კომპანიასთან ხელშეკრულებები გაფორმდება, რის შემდეგაც ააიპ "სახლი თანადგომა" უფასო სასადილოში მუშაობას განაახლებს. როგორც მზევინარ ბოხუა ვარაუდობს, ყველა ორგანიზაციის მხრიდან დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში მათთან ხელშეკრულებები არაუგვიანეს 17 იანვარს გაფორმდება.

მზევინარ ბოხუა ააიპ "სახლი თანადგომას" დირექტორი: "ურთულეს სიტუაციაში გვიხდება ყოველდღიურად მუშაობა. ჩვენს ბენეფიციარებს არ აინტერესებთ ტენდერი, მათ შიათ და უკვე 3 იანვრიდან ითხოვენ თავის წილ საკვებს. ჩვენ ისეთი კატეგორიის ხალხთან

გვიწევს მუშაობა, ძალიან ძნელია, მათ გააგებინო ტენდერთან დაკავშირებული პრობლემები. ვცდილობთ, რომ დროზე მოხდეს უფასო სასადილოს ფუნქციონირების აღდგენა. ამანათებისთვის, რომლებსაც ტრადიციულად საშობაოდ ვარიგებთ, ბენეფიციარები ყოველდღიურად გვაკითხავენ. ეს უკანასკნელი მათ სასადილოს გახსნისთანავე დაურიგდებათ.

თბილისი - ქუთაისი - თბილისი?!

კანონიერი, გულწრფელი მოწონებითა და აღფრთოვანებით შეეგება თავის დროზე სრულიად თუ არა, დასავლეთ საქართველო პარლამენტის ქუთაისში განთავსებას, რასაც მეზობელი მუნიციპალიტეტებისა და რეგიონის განვითარება მოჰყვა შედეგად. საპარლამენტო რიტმით ცხოვრობდა ქვეყნის ერთ-ერთი დიდი რეგიონის, იმერეთის პირველი და საქართველოს მეორე ქალაქი, უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქუთაისი. მიუხედავად იმისა, იყო თუ არა თავის დროზე მართებული თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადმოტანა, დღეს, როცა სახელმწიფოში ბევრი უფრო მნიშვნელოვანი პრობლემაა, ქუთაისის უპარლამენტოდ დატოვება, რბილად რომ ვთქვათ, შეცდომად მიგვაჩნია. გვსმენია, რომ ევროპულ სახელმწიფოებში ცენტრალური უწყებების რეგიონებში განთავსება დედაქალაქისა და რეგიონების თანაბარ განვითარებას უწყობს ხელს. გაგვაოცა ერთმა განცხადებამაც, რომ ჭირდა კავშირი მთავრობასა და პარლამენტს შორის, რაც დღევანდელი კომუნიკაციის პირობებში აბსურდად გვეჩვენება. რომ არა რუსული ოკუპაცია, გალიდან, სოხუმიდან, გაგრიდან... ხომ უნდა ჩასულიყვნენ პარლამენტარები დედაქალაქში? რა დაშავდებოდა, თუ აღმოსავლელი პარლამენტარები ჩამობრძანდებოდნენ დასავლეთში?

ამ ექვსი წლის მანძილზე შევეჩვიეთ ქუთაისს და ქუთათურებსო, გვიჭირს ქუთაისთან განშორებაო, მოვისმინეთ ამ დღეებში დეპუტატებისაგან, ვინ აძალებდათ?

ასე თუ ისე, ქუთაისი უკვე აღარაა საქართველოს საპარლამენტო დედაქალაქი. რამდენად აუცილებელი იყო ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილება პარლამენტის თბილისში გადატანის თაობაზე, ყველაზე მკაცრი და უტყუარი მსაჯული, მისი უდიდებულესობა დრო და ისტორია იტყვის.

ლევან გაბეჩავა



"სიკეთის ბარათები" სამტრედიაშიც ჩამოვიდა

საქველმოქმედო ფონდ "ნატვრის ხის" დამფუძნებელი ნინო სურგულაძე ადგილობრივი ფონდის ხელმძღვანელის, სერგი რუხაძის მოწვევით პირველ იანვარს სამტრედიაში ჩამოვიდა. მეცოსოპრანომ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ახალი წელი და დამდეგი შობა მიულოცა და თან "სიკეთის ბარათები" დაურიგა.

"სიკეთის ბარათებთან" დაკავშირებით საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ "ნატვრის ხის" დამფუძნებლის, ნინო სურგულაძის ინიციატივას მთელმა საქართველომ დაუჭირა მხარი, მათ შორის რეგიონებმა.

"სიკეთის ბარათების" აქციას შეუერთდნენ კომპანიები; "სოკარი" და "თიბისი ბანკი", რომლებიც საკუთარი ინიციატივით 100-100 ოჯახს დაეხმარნენ.

ფონდ "ნატვრის ხეს" "სიკეთის ბარათებისთვის" 300 ლარი გადასცა მრავალშვილიანი ოჯახის მამამ, გოგა კალანდაძემ.

ნინო სურგულაძე, მეცოსოპრანო: "ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები სამტრედიაში და გავიცანი არაჩვეულებრივი ოჯახები, რომლებიც სიდუხჭირის მიუხედავად ინარჩუნებენ სიკეთეს, სითბოს, სიყვარულს. ვიყავი "სათნოების სახლში", სადაც 22 მოხუცი ცხოვრობს. მადლობა ამ ყველაფრისთვის ბატონ სერგი რუხაძეს, რომელმაც სამტრედიაში მომიწვია".

ნინო სურგულაძის მიმართ სამადლობელი სიტყვები არ დაიშურა ბიზნესმენმა და საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელმა, სერგი რუხაძემ: "მადლობა ნინო სურგულაძეს, რომელმაც მიიღო ჩვენი მოწვევა და ჩამოვიდა სამტრედიაში. ჩვენ ვიყავით სოციალურად დაუცველ რამდენიმე ოჯახში. ქალბატონი ნინო ყველას მოეფერა, სიყვარული და სითბო აჩუქა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ქალბატონ ნინოს და კარგი იქნება, თუ მას სხვებიც დაუდგებიან მხარში და მსგავსი აქციები სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში გაიმართება."

"სიკეთის ბარათები" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური აგენტების მეშვეობით საქართველოს მასშტაბით 287 მრავალშვილიან ოჯახს გადაეცემა, სადაც 400-ზე მეტი შშმ ბავშვია. 100 ლარიან ბარათებს აღნიშნული ფარმაცევტული კომპანია "ავერსის" სააფთიაქო ქსელში საქართველოს მასშტაბით საჭიროებისამებრ გამოიყენებენ.

აქცია 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე დაიწყო და პირველ აპრილამდე გასტანს.

ნინო ნანიტაშვილი

ახალ წელს ახალ ოფისში

სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის რაიონულმა განყოფილებამ ახალ, 2019 წელთან ერთად ახალმოსახლეობა იზეიმა. ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე 15 წელზე მეტია, საპენსიო განყოფილებაა განთავსებული, რომელმაც წლების განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა დასახელება. ამჟამად სოციალური მომსახურების სააგენტოს სამტრედიის რაიონული განყოფილების 196 კვ.მ. ფართს 3 თვის განმავლობაში უტარდებოდა სარემონტო სამუშაოები. უმაღლეს დონეზე გარემონტებული ოფისი სოციალური მომსახურების სააგენტომ შარშან, 27 დეკემბერს ჩაიბარა.

როგორც თანამშრომლებისთვის, ასევე ბენეფიციართა უკეთ მომსახურებისთვის სამტრედიის სოციალური მომსახურების რაიონულ განყოფილებაში ყველანაირი კომფორტია შექმნილი: მოხდენილი მისაღები, სამუშაო ოთახები. საოფისე და საარქივო ოთახებში მოეწყო "არმსტრონგის" ტიპის სანათები, სველი წერტილები გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი პერსონალისთვის, ასევე სააგენტოში მომსვლელი მოქალაქეთათვის. საუკეთესო კონდიცირების სისტემა მთელ ოფისს მოიცავს, შესრულებული სამუშაოები "EN" ევრონორმას შეესაბამება.

ამჟამად განყოფილებაში 10 თანამშრომელია დასაქმებული, იანვრის მეორე ნახევარში 5 საშტატო ერთეულზე ვაკანსიის გამოცხადებას ელოდებიან.

ნინო ნანიტაშვილი

იანეთში, მეცხრე უბნელებთან

ნინო ნანიტაშვილი

ახალი წლის შემობრძანებას იანეთის მეცხრე უბანში ისეთივე სიხარულით ელიან, როგორც ყველგან მთელ დანარჩენ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში. უკვე რამდენიმე ათეული წელია, აქ კომპაქტურად ჩასახლებული რეპატრირებული მესხები ცხოვრობენ და ბევრ დღესასწაულს მკვიდრ სამტრედიელებთან ერთად აღნიშნავენ. ახალ წლამდე ორი დღით ადრე იანეთის მეცხრე უბნელებმა ოფიციალური სამტრედია საახალწლო კარნავალზე მიიწვიეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას მხარდაჭერითა და მერიის კულტურის სამსახურის უფროსის, ნატალია მანჯგალაძის, ინიციატივით გამართულ წინასაახალწლო ზეიმს ორგანიზება პედაგოგებმა შორენა დარსაველიძემ, მაია გიორგობიანმა და მუსიკის მასწავლებელმა მაყვალა ტკვაცირიამ გაუწიეს.

სკოლის 33-ვე მოსწავლე თანაბრად იყო ჩართული საახალწლო კარნავალში, საუკეთესოდ ჰქონდათ მორგებული თავ-თავიანთი როლები და სტუმრები მომაჯადოებელი ზღაპრის სამყაროში ამოგზაურეს.

იანეთში მეცხრე უბნელი პატარებისთვის ეს საღამო დაუვიწყარი და ბევრი სიხარულის მომტანი რომ ყოფილიყო, მუნიციპალიტეტის მერმა ღონისძიებაზე ბავშვთა გასართობი ცენტრის ანიმატორები მოიწვია, საახალწლო საჩუქრებით და ტკბილეულით გაუმასპინძლდა პატარებს.

ვალერიანე ფოცხვერიამ მადლობა გადაუხადა მშობლებს, პედაგოგებს, ხოლო პატარა მსახიობებს მომავალში კიდევ ბევრ სიურპრიზს დაჰპირდა.

"ორუდილას" ჯადოსნურ საფეხურზე

ნათია ნაცვლიშვილი

"ორუდილა" უკვე ის ანსამბლია, დღითიდღე რომ იმატებს სახელს და დიდებას. ასე რომ არ იყოს, რა მოიყვანდა მის კონცერტზე ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის გაყინულ დარბაზში მაყურებელს! ამ სიცივეს არ უდრკიან ორუდილელები. სცენაზე ნაძვის ხესთან ერთად მათი ნიჭიერებაც აინთო და მაყურებელს ულამაზესი ორი საათი აჩუქეს. შესანიშნავი კოსტიუმებითაც წარსდგნენ მაყურებლის წინაშე ორუდილელები. ვიდრე ლამაზად გაფორმებულ სცენას ანსამბლის წევრები დაიპყრობდნენ, წამყვანებმა, დადა ახობაძემ და ლუკა ტუღუშმა დარბაზში შეკრებილთ ფერადი ბუშტები დაურიგეს! როგორც მათ გვითხრეს, ჩვენს საყვარელ ქალაქში დგას ჯადოსნური სახლი, სადაც ცეკვა-სიმღერაზე შეყვარებული ბავშვები ბინადრობენ და მოგვიწოდეს, ამ ბინადართა შემოქმედებას გავცნობოდით. ასევე ორიგინალურად გადაწყვიტეს მუსიკალური ნომრების წარდგენაც: ნაძვის ხეს დიდი წითელი ვარსკვლავები ამშვენებდა, თითოეულ ვარსკვლავს ორუდილას რომელიმე სოლისტის გვარ-სახელი ეწერა, სწორედ ასე სათითაოდ ამოიკითხავდნენ სცენაზე გამომსვლელთა გვარ-სახელებს. რეპერტუარი, როგორც ყოველ კონცერტზე, ახლაც განახლებული და მრავალფეროვანია. შესრულდა როგორც ქართველ კომპოზიტორთა ბრწყინვალე სიმღერები, ისე უცხოური ჰიტები. კონცერტზე ტრადიციულად ააჟღერეს პატარებმა საყვარელი პედაგოგის, ნონა ჭახნაკიას სიმღერებიც. სცენაზე ანსამბლის რამდენიმე თაობა იდგა. უკვე კარგად დაფრთიანებულებს ტოლს არც ახალბედები უდებენ, ისინიც არანაკლები სიკაშკაშით ბრწყინავენ!

კონცერტის ბოლოს "ორუდილას" ხელმძღვანელს, კომპოზიტორ ნონა ჭახნაკიას გავესაუბრეთ: " ჩვენმა ჩანაფიქრმა _ ჯადოსნურმა ნაძვის ხემ, როგორც ხედავთ, გაამართლა, დღეს სცენაზე ორი თაობა გაერთიანდა, სულ 24 ბავშვი. მოგეხსენებათ, მძვინვარებს გრიპის ვირუსი, ამიტომ ორმა მოსვლა ვერ შეძლო, ორმა კი სიცხიანმა იმღერა და ეს მაყურებელს არც კი შეუმჩნევია. ანსამბლი უკვე ისეთ დონეზეა როგორც ვოკალურად, ისე ქორეოგრაფიულად (ნანა ბებიამ უდიდესი შრომა გასწია), რომ საზაფხულოდ კიდევ ერთ საინტერესო ჩანაფიქრს შევასხამთ ფრთებს და ჩვენს მაყურებელს უთუოდ გავახარებთ! მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი კონცერტის მხატვარ-დეკორატორ ნანა რუხაძეს, "ორუდილას" სამხატვრო ხელმძღვანელს, ელიკო ანკვაბს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძე: "როგორც "ორუდილას" ყველა კონცერტი, ეს კონცერტიც დატვირთული იყო მრავალფეროვანი რეპერტუარით და ანტურაჟით. ბავშვები თანდათან იზრდებიან, იხვეწებიან და ყველა ღონისძიებაზე გვაკვირვებენ თავიანთი შესაძლებლობებით, მთავარი ისაა, რომ ასე პატარა ასაკში ცოცხლად შესრულებული რეპერტუარი აქვთ და ეს ჩვენი პედაგოგების დიდი მიღწევაა, ამისათვის მადლობა მათ!"

თამუნა ჯინჭველეიშვილი - „წიგნების თაროს" ლიტერატურული კონკურსის მამარჯვებელი

„წიგნების თარო" შემეცნებით-გასართობი ჟანრის გადაცემაა, რომელიც პირველი არხის ეთერში 2016 წელს გამოჩნდა. ამ პროექტმა 20-მდე ახალგაზრდას მისცა კემბრიჯის სახაფხულო სკოლაში სწავლის საშუალება. ათეულობით და ასეულობით ნიჭიერი, განათლებული და ინტელექტუალური ახალგაზრდა გაერთიანდა ერთი გადაცემის ირგვლივ. სამტრედიის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებიც აქტიურად ჩაებნენ ამ ლიტერატურულ შეჯიბრში. თავდაპირველად სამტრედიის №11 საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა (მამუკა კიღურაძე, ქეთი ლეჟავა, იესე ჯავახიანი) და საკმაოდ წარმატებით იასპარეზა. მოგვიანებით სკოლა "ცოდნის" მოსწავლეები (ეთუნა კაცაძე, გიორგი შენგელია, ნანუკა ნიკოლეიშვილი, ნინი მინაშვილი) ჩაებნენ შეჯიბრში და ასევე წარმატებით გავიდნენ ფინს.

სამტრედიის სახელი უკვე კარგა ხანია ისმის ყველაზე ლიტერატურულ შოუში "წიგნების თარო", რომელიც ასევე სთავაზობს შანსს იმ სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც შეუძლიათ წერა. სეზონების პარალელურად მიმდინარეობს ავტორების კონკურსი. სეზონის ბოლოს კომპეტენტური ჟიური არჩევს ექვს გამარჯვებულ ავტორს, რომელთაც საშუალება ეძლევათ, ითამაშონ ბონუს თამაში და დაჯილდოვდნენ ძვირადღირებული საჩუქრებით. სწორედ ამ გამარჯვებულ ექვს ავტორს შორის აღმოჩნდა ასევე სამტრედიელი, №4 საჯარო სკოლის მოსწავლე თამუნა ჯინჭველეიშვილი.

ავტორების პირველ ჯგუფში იყვნენ: ლუკა ჭყოიძე, ალექსანდრე გუნია, თამუნა ჯინჭველეიშვილი. ავტორების მეორე ჯგუფში შედიოდნენ: ლიკა ლომთაძე, გიორგი საჩეჩელაშვილი, ანა ტეფნაძე.

დაძაბულ ბონუს თამაშში პირველი გუნდის წევრებმა ალექსანდრე გუნიამ, თამუნა ჯინჭველეიშვილმა და ლუკა ჭყოიძემ დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს - 35:26.

გამარჯვებულებს გადაეცათ ლეპტოპები, წიგნების თაროსგან - ჩანთები და ბლოკნოტები.

ნინო ნანიტაშვილი

იმედისა და სიყვარულის ქარნავალი სოფლის სკოლაში

"მოეც მამულის დანისლულ ქედებს, მოეც ყოველთა სიმშვიდე ყოვლით"_ ლამის ლოცვად აღავლენდნენ ჰოეტის ამ ულამაზეს სტროფებს პატარები. სოფელ ნიგორზღვის მთებსა და ქედებს ჯერ არ დაჰფენია თოვლის საბანი, თუმცა, მთა მთაა და სიცივე ძვალ-რბილში ატანს. მოჟრიამულე პატარებს კი არ სცივათ, მათი ენერგეტიკა, სიყვარული და სითბო გადამდებია! მერე, რა, რომ ცოტანი არიან, სულ ოცდაორი ბავშვი! ტექნოლოგიების აფეთქების ეპოქასთან, სამწუხაროდ, მარცხდება სოფელი! სოფლის სკოლა სოფლის ყველაზე საიმედო დასაყრდენი და ნათელი წერტილია. ზამთარში ამ სკოლის საკვამურიდან წამოსული კვამლი ცუდ ფიქრებსა და სევდას აქარწყლებს! ყოველ შემოდგომაზე სოფლის შეთხელებულ მოსახლეობას ერთადერთი საფიქრალი აქვს: წლეულს ეყოლება თუ არა მოსწავლე სკოლას! ჰოდა, თითოეული ამ თვალებანთებული პატარას უკან ვეებერთელა იმედი დგას დაცლილი სოფლის გადარჩენისა!

საკარნავალო განწყობაა ნიგორზღვის სკოლაში, ლოყებღაჟღაჟა პატარების ჟრიამულმა სკოლის კედლები ლამისაა შეაზანზაროს! საუკეთესოდ მორთულ დარბაზში მიგვიპატიჟეს: ბუხარი საახალწლო დეკორაციის ნაწილია, პედაგოგებმა დიზაინერული შესაძლებლობებიც გამოავლინეს და საუკეთესოდ მორთეს სცენა. ნაძვის ხე დიდია და ათასფრად მოელვარე, ამ პატარების ოცნებებივით! მოახლოვებული ახალი წელი შეკრებილთ პირველად სკოლის დირექტორმა, გრიგოლ კიკვაძემ მიულოცა და მოსწავლეებს უსურვა, თუკი გასულ წელს მათ სიზარმაცე ხელს რევდათ, იგი აუცილებლად ძველ წელს გაატანონ და მხოლოდ სიბეჯითე გამოიჩინონ ახალ 2019 წელს! და სცენა პატარების მხიარულებას დაეთმო. გისურვებთ, რომ თქვენს გულებში არასოდეს დაიზამთროს! _ ტკბილი ხმით გვეუბნება მეორეკლასელი ანა შანიძე. ლექსს სიმღერა და ცეკვა მოსდევს... მიუხედავად იმისა, რომ სკოლა საკმაო მანძილით არის დაშორებული ქალაქს, მისი მოსწავლეები მაინც ახერხებენ მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული ანსამბლების წევრობას. ეს მათ საახალწლო კარნავალსაც დაეტყო. სხვადასხვა ცეკვა და სიმღერა შესანიშნავად შეასრულეს პატარებმა, იხალისეს და დარბაზში მყოფი მშობლებიც გაახარეს. პატარების შემდეგ სცენაზე უფროსკლასელები წარსდგნენ, მათაც მოგვილოცეს ლექსითა თუ სიმღერით, ყველა ბავშვის განწყობის ამაღლებაზე კი, თოვლის პაპის სამოსში გამოწყობილმა მეცხრეკლასელმა საბა თავაძემ იზრუნა. საბამ შესანიშნავად შეასრულა დაკისრებული მისია და ხურჯინიდან პატარებისათვის საჩუქრები ამოალაგა!

ამ ლამაზი საღამოს შემოქმედნი პედაგოგები: მარიკა ლაპარტყავა, ნონა შანიძე, თამუნა თარგამაძე და თეონა თარგამაძე იყვნენ. თეონა სკოლის ახალი სპეციპედაგოგია და იმედია, ახალგაზრდული ენერგიით კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გაუკეთებს სკოლას! მომავალ საახალწლო ზეიმამდე ვემშვიდობებით სოფლის ამ ულამაზეს საგანმანათლებლო კერას!

ნათია ნაცვლიშვილი

ვიხილე ლიტერატურული ოცნება

დუმბაძის წიგნები ჩემი სამაგიდო კი არა, სათავსასთუმლე წიგნებია!

ნათია ნაცვლიშვილი

რაულ ხუჭუა ჩვენი ქალაქის კოლორიტია, სამტრედიის ინტელიგენტთა კოლორტის ღირსეული წარმომადგენელი! მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში მას ყოველდღე ხედავენ. დაახლოებით ათი წლის წინ ბიბლიოთეკაში სტატიას ვკითხულობ, მოულოდნელად ყური მოვკარი, იმხანად ჩემთვის უცნობი ბატონი რაული როგორ უყვებოდა ასევე ჩვენი ქალაქის ერთ-კოლორიტს, გიული წერეთელს, დათო ტურაშვილის "ჩაძირული ქალაქის ღამის" შინაარსს, მეც ახალი წაკითხული მქონდა ეს წიგნი და მართლაც მომხიბლა ამ უცნობი ბატონის მიერ თანამედროვე რომანის ღრმა გააზრებამ და თხრობის შესანიშნავმა მანერამ. ჩვენს რუბრიკაში მისი სტუმრობა ამ ისტორიამაც განაპირობა.

- რა ასაკიდან კითხულობთ წიგნს?

- ისეთ წრეში გავიზარდე, სულ წიგნის სიახლოვეს ვიმყოფებოდი. დედა სახლში ვერ მტოვებდა, ომის შემდგომი პერიოდი იყო, დავყავდი სამსახურში, სადაც წასაკითხად მაძლევდნენ საბავშვო ლიტერატურას. თან მაკითხებდნენ და ამასთანავე მამოწმებდნენ, ზოგჯერ ისეთ ახალ წიგნებს მაძლევდნენ, ფურცლები რომ არ იყო ერთმანეთს დაშორებული. ბავშვობაში წავიკითხე "ახალგაზრდა გვარდია", "როგორ იწრთობოდა ფოლადი", ბულგაკოვის "მეოთხე სიმაღლე" და ა. შ.

- ყველაზე აქტიური კითხვის პერიოდი როდის გქონდათ?

- მერვე კლასდან სკოლის დამთავრებამდე. ნაწარმოებთა ჟანრები იცვლება დროის გასვლასთან ერთად. ამ პერიოდში მიზიდავდა დეტექტივი, მერე ბიბლიოთეკებში გამოჩნდა მანამდე აკრძალული მიხეილ ჯავახიშვილის "არსენა მარაბდელი", მერე იწყება ჩემი გატაცება გალაკტიონით, ლადო ასათიანით, ნოდარ დუმბაძით და ჭაბუა ამირეჯიბით, დოჩანაშვილით თუ გურამ რჩეულიშვილით.

- ალბათ, თქვენს სამეგობროში ძირითადად წიგნიერი ადამიანები იყვნენ...

- სამტრედიაში ზესტაფონიდან ჩამოვსახლდით 1957 წელს, სამოთხი სკოლის მეგობარი შემომრჩა, შემდეგ ინსტიტუტის მეგობრები შევიძინე. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი გახლავართ. ამ წრეში კითხვა ყველას ძალიან უყვარდა, იმ ხალხმა გამომზარდა, ფაქტობრივად, ყველანი წიგნიერი ხალხის შვილები იყვნენ. მათ ოჯახებში მქონდა წვდომა "ქართლის ცხოვრებაზე," ივანე ჯავახიშვილის "საქართველოს ისტორიის" მრავალტომეულებზე. მხატვრული ლიტერატურისთვის დრო ნაკლებად გვქონდა. მარტო ქართული ხომ არ იყო, ახალგაზრდებს რუსი კლასიკოსებიც გვაინტერესებდა...

- მათ რუსულ ენაზე კითხულობდით...

- რა თქმა უნდა, ჩვენმა თაობამ რუსული შედარებით კარგად იცოდა, ვიდრე დღევანდელმა, სამაგიეროდ, ამ თაობამ სხვა უცხო ენები იცის კარგად. წავიკითხე ტოლსტოის "ომი და მშვიდობა," "ანა კარენინა", ფადეევის "ახალგაზრდა გვარდია", ესენინის და სხვა რუს პოეტთა ლექსები...

- ამბობენ, კარგი თამადა ხართ და ლექსებითაც ალამაზებთ სადღეგრძელოებს...

- არ მინდა დავღალო თანამეინახენი, ამიტომ ნაწყვეტებს მოვიშველიებ ხოლმე სადღეგრძელოებში.

- რომელი პოეტი გიყვართ?

- უდიდესია რუსთაველი, შემდეგ გალაკტიონი, ბარათაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, შოთა ნიშნიანიძე, დანარჩენები მათ გარშემო ტრიალებენ, ბევრ არცთუ ცნობილ პოეტს აქვს შესანიშნავი სხარტულა ლექსი. განსაკუთრებით მომწონს მუხრანის "მე პატრონმა, მე პატრონმა ამისთანა ცის...თუ ღმერთი გწამს, თუ კაცი ხარ, სხვას მივბაძო ვის? "

- საყვარელი მწერლები ვინ არიან?

- ამ ბოლო ხანს არაერთხელ მივუბრუნდი ნოდარ დუმბაძეს, მისი შესანიშნავი ნოველა "დედა" ძალიან მომწონს. ლოთი შევიდა სახინკლეში და სუფრის წევრებს სთხოვს: ფული მომეცით, დედის სანახავად მინდა სოფელში წასვლაო. ერთი ბიჭი უსაყვედურებს, მაინცდამაინც ხასიათი უნდა გაგვიფუჭო? ჩვენც გვყავს დედაო. ერთი მათგანი ფულს მისცემს, მეორემ უთხრა, მაგისთვის იმდენი ფული მაქვს მიცემული, მაგელანივით დედამიწას შემოუვლიდაო. ამ დროს მეორე სუფრიდან ვაკელების სიმღერა ისმის... " დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, ამიტომ წუთისოფელი სულ ასე გვაცოდვილებსა". ლოთს ღამით დაესიზმრა, რომ დედა კარს მოადგა და მას ფული მისცა. რომ გაიღვიძა, ნახა მისი ფული კართან ეყარა. საღამოს მატარებელში იჯდა და უკვე დედასთან მიდიოდა... რეზო ჭეიშვილს კარგად ვიცნობდი, ქუთაისში 1965-66 წლებში იქ მუშაობის დროს გავიცანი, ერთ-ერთ სუფრასთან იყვნენ ის და ოთარ მამფორია. რამდენიმე წლის წინ გამოიცა რეზო ჭეიშვილის "ახალი კურუ" (კურუ სიცილის ავადმყოფობაა აფრიკაში, ვისაც იგი შეეყრება, სიცილისგან კვდებაო, ასე გვეუბნება მწერალი) წიგნი სიამოვნებით წავიკითხე, მასში გაცოცხლებულია ჩემი ახალგაზრდობის ქუთაისის მთელი თაობის ცხოვრება, რეზო მიშველაძის ნოველებიდან განსაკუთრებულად მომწონს ერთი ნოველა, რომლის სათაურს ვერ ვიხსენებ: ბაზარში ქართველი გლეხი ყიდულობს ერთ ადგილას ძვირად კაკალს და მეორე ადგილას იაფად ყიდის. შეკითხვაზე, ბიჭო, რას შვები, შენ ხომ არ გაგიჟებულხარო, პასუხობს: მე ფული კი არ მაინტერესებს, კაკლის ჩხრიალი მსიამოვნებსო. შევხვედრივარ რეზო მიშველაძესაც, თბილისი ის ადგილია, სადაც არაერთ ბუმბერაზს შეხვდები, ვიხსენებ უდიდეს მოქანდაკეს ნიკოლოზ კანდელაკს, რომელიც პლეხანოვზე ჩამოივლიდა და შეკრებილ სამტრედიელებს დაგვიძახებდა: გამარჯობა სამტრედიელებოო! ეროსის ჩამოუვლია, აკაკი კვანტალიანს და თბილად მოგვსალმებიან, რუსთაველზე შევხვედრივარ დიდ კონსტანტინეს, გალაკტიონს... პოეტების მეფე ვერ ვიცანი, მეგობრებმა მითხრეს, ეს გალაკტიონიაო, მელიქიშვილზე ჩამოიარა. მესტიაში მუშაობის დროს მინახავს დიდი მწერალი რევაზ მარგიანი.

- დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?

- მაქვს ქართული ენციკლოპედია, საბავშვო ენციკლოპედია. საკმაოდ მაქვს მხატვრული ლიტერატურა, "კვირის პალიტრას" ახლავს სერია ქართველი მეფეები, ამ სერიის წიგნებს გაზეთთან ერთად ვიძენ და ვკითხულობ.

- ნაწარმოები, რომელმაც შეგძრათ...

- ორჯ-სამჯერ შემიძლია დუმბაძე გადავიკითხო, "ახალ კურუს" სულ ვკითხულობ, უწიგნოდ დამე ვერ დავიძინებ. უცხოელი მწერლებიდან რემარკი, ბალზაკი, ემილ ზოლა, სტენდალი და ჰიუგო მომწონს. ქართველი მწერლები მაინც უფრო მიყვარს, ახლახან "კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა," გადავიკითხე, ჭილაძეები, ორივე ძმა მიყვარს. ოთარ ჭილაძის პროზაც ძალიან მომწონს და პოეზიაც. დათო ტურაშვილი თანამედროვე მწერლებისაგან გამორჩეულად მომწონს, ასევე, აკა მორჩილაძე, იგივე გიო ახვლედიანი.

- თანამედროვე ლიტერატურულ ტენდენციებსაც არ ჩამორჩებით და საკმაოდ კარგად ერკვევით სიახლეებში...

- იქნებ გაგიკვირდეთ, მაგრამ 78 წლისა ვარ, ახლად წაკითხული ნაკლებად მამახსოვრდება, თუმცა ბიბლიოთეკიდან ახალი წიგნები მაინც მიმაქვს, ბოლოს წავიღე ბიბლიოთეკიდან "კაბადოკია". დავინტერესდი წმინდა ნინოს წარმოშობის ადგილით და წიგნი ძალიან მომეწონა. როგორც გითხარით, ბოლო ხანს, იუმორისტული ნაწარმოებებით ვინტერესდები, დუმბაძის წიგნები ჩემი სამაგიდო კი არა, თავსასთუმლის წიგნებია! ბოლო დროს ასევე წავიკითხე თანამედროვეობის გამორჩეულად ნიჭიერი პოეტის, რატი ამაღლობელის ლექსები.

- ოჯახის შესახებ გვიამბეთ...

- მყავს მეუღლე და შვილები. დავითი ყოფილი ფეხბურთელია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი, მეორე ვაჟია გოჩა. ორივე ინჟინერ-ეკონომისტია და ორივე კერძო სტრუქტურაში მუშაობს. შვილებსაც და შვილიშვილებსაც ძალიან უყვართ წიგნი. ჩემს შვილიშვილს წიგნს რომ ვყიდულობ, წავუწერ: "რაულიკა, სამშობლოსთან არაფერი შეგეშალოს-თქო."

მომავალ თაობას ვეტყვი იმას, რაც ყველამ ვიცით და არც ერთი არ ვაკეთებთ: სიძულვილის გძნობა, შური მოვიცილოთ, არ არის სავალდებულო ერთმანეთი უყვარდეთ, მთავარია, არ სძულდეთ! სავალდებულო არ არის დიდი ადამიანი გამოხვიდე, კარგი ადამიანი უნდა გახდე!

ჯაჩნავალი "ჯეოს" ნაძვის ხესთან

"სტუმრად თანამშრომლებისა და ბენეფიციარების შვილები" - 2018 წლის მიწურულს "ჯეო ჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის მედპერსონალმა და ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, ერთი ლამაზი დღე ეჩუქებინა სამტრედიელი პატარებისათვის; დადგეს დიდი და ლამაზი ნაძვის ხე, მორთეს და მოკაზმეს, შეიძინეს საახალწლო საჩუქრები და თოვლის პაპა მოიწვიეს.

წინასაახალწლო განწყობა რომ უფრო აემაღლებინათ და კარნავალი უფრო შთამბეჭდავი, შინაარსიანი ყოფილიყო, "ჯეო ჰოსპიტალსის" დირექციამ და ქალბატონმა ლუარა კახიანმა მათ სამედიცინო ცენტრში საგანგებოდ ზღაპრის გმირები მოიწვიეს და ლამაზი ნაძვის გარშემო დიდებიც და პატარებიც ფიფქიასთან ერთად სასიამოვნოდ გაერთვნენ.

ზოგმა გაბედულად, ზოგმაც გაუბედავად "ჯეოს" ნაძვის ხესთან და სპეციალურად "სამტრედიის მაცნეს" მკითხველისთვის იმღერეს და ლექსები წაიკითხეს. პატარებისთვის აგრერიგად სანატრელმა და საყვარელმა სანტა კლაუსმა საახალწლო ტკბილეული დაურიგა პატარებს და ერთად ბევრი სამახსოვრო სურათი გადაიღეს.

ლუარა კახიანი, ამბულატორიული ცენტრის დირექტორი: "წელს პირველად გავმართეთ "ჯეოს" ნაძვის ხე, სპეციალურად ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის, პატარა ბენეფიციარებისთვის. ნამდვილი ზეიმი გამოგვივიდა, ბედნიერი ბავშვები სიხარულს ვერ ფარავენ. ჩვენც ეს გვინდა, ყოველი დღე დღესასწაულად ვუქციოთ მომავალ თაობას".

ნატალია თვალავაძე, "ავერსის" სააფთიაქო ქსელის წარმომადგენელი სამტრედიაში: "ჩემი პატარა ქალბატონი ძალიან გაერთო და გახალისდა, როცა "ჯეოს" ნაძვის ხე დაინახა. მადლობა მინდა, ქალბატონ ლუარას და მის დიდ კოლექტივს გადავუხადო, ყველა პატარას და სრულიად საქართველოს დამდეგი შობა-ახალი წელი მივულოცო, ვუსურვო ბედნიერება"

ნინო ნანიტაშვილი

ლაშა ტალახაძე საუკეთესოა

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვის შედეგად 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენად ძალოსანი ლაშა ტალახაძე დასახელდა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ 2018 წლის საუკეთესო სპორტსმენად ძალოსანი ლაშა ტალახაძე დაასახელა.

კრიშტიანუ რონალდუს წარმატება

2019 წლის 3 იანვარს დუბაიში გაიმართა დაჯილდოვების ცერემონიალი. ევროპული კლუბების ასოციაციამ და და ევროპის საფეხბურთო აგენტების ასოციაციამ 2018 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა მადრიდის ''რეალის'' ყოფილი ფეხბურთელი და ამჟამად ტურინის ''იუვენტუსის'' ფეხბურთელი, 33 წლის პორტუგალიელი ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ.

ფეხბურთი

მერვედფინალისტები და მეთექვსმეტედფინალისტები დაწყვილდნენ

17 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბბინაში გამართულმა წილისყრამ გამოავლინა უეფას ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალისტთა და უეფას ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალისტთა წყვილები.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში დაწყვილდნენ:

შალკე (გერმანია) _ სიტი (ინგლისი)
ატლეტიკო (ესპანეთი) _ იუვენტუსი (იტალია)
მანჩესტერი (ინგლისი) _ პსჟ (საფრანგეთი)
ტოტენჰემი (ინგლისი) _ დორტმუნდი (გერმანია)
ლიონი (საფრანგეთი) _ ბარსელონა (ესპანეთი)
რომა (იტალია) _ პორტუ (პორტუგალია)
აიაქსი (ჰოლანდია) _ რეალი (ესპანეთი)
ლივერპული (ინგლისი) _ ბაიერნი (გერმანია)

ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალში დაწყვილდნენ:

პლზენი (ჩეხეთი) _ დინამოზ (ხორვატია)
ბრიუგე (ბელგია) _ ზალცბურგი (ავსტრია)
რაპიდი(ავსტრია) _ ინტერი (იტალია)
სლავია (ჩეხეთი) _ გენგი (ბელგია)
კრასნოდარი (რუსეთი) _ ლევერკუზენი (გერმანია)
ციურიხი (შვეიცარია) _ ნაპოლი (იტალია)
მალმიო (შვედეთი) _ ჩელსი (ინგლისი)
შახტარი (უკრაინა) _ აინტრახტი (გერმანია)
სელტიკი (შოტლანდია) _ ვალენსია (ესპანეთი)
რენი (საფრანგეთი) _ ბეტისი (ესპანეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) _ დინამო კ. (უკრაინა)
ლაციო (იტალია) _ სევილია (ესპანეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) _ ზენიტი (რუსეთი).
სპორტინგი (პორტუგალია) _ ვილიარეალი (ესპანეთი)
ბატე (ბელორუსი) _ არსენალი (ინგლისი)
გალათასარაი (თურქეთი) _ ბენფიკა (პორტუგალია)

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი შეხვედრები გაიმართება 12/13 _ 19/20 თებერვალს. განმეორებითი შეხვედრები 5/6 _ 12/13 მარტს.

ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალის პირველი შეხვედრები გაიმართება 14 თებერვალს. განმეორებითი შეხვედრები 21 თებერვალს.

იორამ ნიკოლეიშვილი

გვახსოვხართ...

მისი ბავშვობა არაფრით განსხვავდებოდა სხვებისაგან. იხსენებდა კიდეც, პურის რიგში მდგომს ვერავინ მამჩნევდა ყმაწვილკაცობისას, თანამდებობების მატებასთან ერთად ნაცნობ-მეგობრები მემატებოდნენო.

პასუხისმგებლობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი ბატონ სულიკო ნინუას. მაღალ პასუხსაგებ თანამდებობებზე ყოფნისას სრულად წარმოჩნდა მისი პიროვნული, ადამიანური, პროფესიული თვისებები. ყველაფერთან ერთად ზომიერებაც ახასიათებდა, როცა ქვეყნისა და რაიონისათვის ურთულეს პერიოდში სამტრედია მცირე ხნით, მაგრამ მაინც უთავკაცებოდ დარჩა, იგი იჯდა კაბინეტში, რამეთუ არ ჰქონდა ნაჭამი მჟავე ტყემალი... გერმანული სიზუსტით მოდიოდა სამსახურში მაშინაც კი, როცა საზოგადოებრივ საწყისებზე (უხელფასოდ) თუმცა, ჩვეული მონდომებით ხელმძღვანელობდა ვეტერანთა რაიონულ კავშირს. ახლაც ხშირად იხსენებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე, თუ როგორ მოთხოვნილებად გვიქცია მას და მე ბატონმა სულიკომ ყოველ დილით მასთან კაბინეტში შესვლა და ასე ვთქვათ, დილის საუბრები. ერთხელ ვკითხე: გიორგიჩ, ყველას როგორ ესალმები და ყველა როგორ გესალმება-თქო? დიახ, ყველას მორიდებულ სალამს შეაგებებდა და თბილი მოკითხვითვე პასუხობდნენ. განიცდიდა მისი თაობის ადამიანების გარდაცვალებას, იმ დღესაც სულიერად დამძიმდა ხსოვნის საღამოს რომ დაესწრო და...

ცად ამაღლდა მისი სული.

მთელმა სამტრედიამ დაიტირა დიდი ჭირისუფალი. 85 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ბატონი სულიკო ნინუა.

ლევან გაბეჩავა

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირების წევრი, გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' ყოფილი რედაქტორი, ბატონი

მენაშე (ბუჭუნა) აბრამის ძე ელიშაყაშვილი.

და ირა წიქვაძე, სიძე ჯონდი გაბეჩავა, რძალი ზინა წიქვაძე, დისშვილები ლევან, მანანა გაბეჩავები, გოგიტა, თინიკო კოტრიკაძეები, ძმისშვილები სერგი, თამაზ წიქვაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გუგული (გულიკო) ალექსანდრეს ასული წიქვაძე-ჩადუნელი.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ლევან გაბეჩავას დეიდის,

გუგული (გულიკო) ალექსანდრეს ასული წიქვაძე-ჩადუნელის

გარდაცვალების გამო.

გაზეთი ''სამტრედიის მაცნე'' თანაუგრძნობს ნანა მიქაძეს მეუღლის,

სოსო ფანცულაიას

გარდაცვალების გამო

ნათელა გელეიშვილი თანაუგრძნობს ბატონ თამაზ მიქაძესა და მის ოჯახს უახლოესი ნათესავის

თემურ პატარიძის

გარდაცვალების გამო.

დარეჯან, მამუკა და თამაზ ახობაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ლელა დიასამიძესა და მის ოჯახს მამის,

ელიკა დიასამიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ჯონი და ავთანდილ თარგამაძეებს მეუღლისა და დედის

ლუიზა დუნდუა-თარგამაძის

გარდაცვალების გამო.

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

თეატრი სარკეა ერის ცხოვრებისა!..

ბრძანებდა საქართველოს სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე

1850 წელს გიორგი ერისთავის თაოსნობით დაარსდა ქართული თეატრი...



შარშან ამ დროს იგი მის წინამორბედ და თანამედროვე თეატრალებს იგონებდა სევდითა და ალალი ცრემლით. გასული წლის დასაწყისში კი მთელი საქართველო აალაპარაკა, წლის ბებია გახდა. წელიც არ გასულა, რაც ინტელიგენციამ უკანასკნელ გზაზე პატივით გააცილა ღვაწლმოსილი მსახიობი, სხვადასხვა წლებში დიდი ვერიკო ანჯაფარიძისა და ლეგენდარული ეროსი მანჯგალაძის სცენური პარტნიორი, სამტრედიის ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, ქალბატონი მზია ჩიხლაძე.

მარად მოუსვენარი, სიახლეთა მაძიებელი, ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე, ორი მუზის _ თეატრისა და წიგნის თანაბარი ერთგულებით მსახურმა ქალბატონმა სამტრედიის თეატრალურ ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა _ 60-ზე მეტი მთავარი როლი განასახიერა ნახევარსაუკუნოვანი თეატრალური მოღვაწეობის მანძილზე,

ქალბატონი მზია მოგვევლინა თანაავტორად წიგნისა ''თეატრალური სამტრედია''. წიგნი დროის სვლასთან ერთად მეტ დატვირთვას შეიძენს და ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს არა მარტო ინტელექტუალურ მკითხველს, არამედ, ხელოვნებისა და თეატრის ისტორიით დაინტერესებულთ.

...

მისმა გარდაცვალებამ, სამზეოდან ნაადრევად წასვლამ ბევრს დაადინა თვალთაგან სინანულის ალალი ცრემლი. როგორც რეჟისორმა და მსახიობმა, ბატონმა როლეჩ გოგიშვილმა არაერთი სცენური სახე შექმნა. კაცურ კაცად, კარგ პროფესიონალად აღიარებდნენ სამართლიანად. მზია ჩიხლაძე და როლეჩ გოგიშვილი სცენური პარტნიორები იყვნენ. ''დარაბებს მიღმა გაზაფხულია'' _ აი სპექტაკლი, რომელშიც, როგორც მაყურებელმა, ისინი პირველად ვიხილე და კმაყოფილიც დავრჩი. ცხოვრების შუა გზაზე შემოაღამდა ბატონ როლეჩს, არადა, რამდენის გაკეთებას შესძლებდა კიდევ.

ციცქნა მოგონებით, ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით, ამ ორი თეატრალის ნათელი ხსოვნის წინაშე მცირედი ვალი მოვიხადეთ.

ლევან გაბეჩავა

მე ვარ გაზეთი ამ ქალაქში სანდო, რჩეული,
ასაკითა და მართალ სიტყვით გამორჩეული,
გამაფერადეთ და ბავშვივით თვალს ვერ მაშორებთ,
ისევ დავკიდებ ფერად-ფერად სათამაშოებს.

ნინო ნანიტაშვილს!

მზიან-ღიმილიანი, მშვენიერი, კეთილშობილი, ენერგიული ქალბატონი, თავისი საქმის პროფესიონალი, რომელიც აგრერიგად ამშვენებს ჩვენს ქალაქს - ნინო ნანიტაშვილი იუბილარია! იგი გამოირჩევა მეგობრობისა და სიყვარულის დიდი ნიჭით, დიდი უბრალოებითა და სისადავით.

ვულოცავთ მას დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, ბედნიერებას და ულევ სიხარულს თავისი ლამაზი ოჯახით, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში. უფალი იყოს მისი მფარველი გზაზე, რომელიც "სანთლების ყანად" უნათებს.

მაყვალა ჩირგაძე, ნათელა გელეიშვილი, ქეთევან ჭელიძე, მზევინარ ბოხუა, დარეჯან ქავთარია

ნინო ნანიტაშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ კოლეგას და მეგობარს, მრავალს დაესწარი. სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით სავსე წლები შეგმატებოდეს. იდღეგრძელე შენს მეუღლესთან და საამაყო შვილებთან ერთად. შენს ყოველ დაბადების დღეს ოჯახური კეთილდღეობა და პროფესიული წარმატებები მოეტანოს შენთვის!

უფალი გფარავდეს!

"სამტრედიის მაცნე"

ეკა ცოფაიას!

ჩვენო ეკა! დაბადების დღეს გილოცავთ ღირსეულ დედას და ბებიას! მრავალი ლამაზი წელი შეგმატოს უფალმა! გწყალობდეს და გაძლიერებდეს იგი!

"სამტრედიის მაცნე"

თამუნა ჯინჭველეიშვილს!

ნიჭიერ, პერსპექტიულ ახალგაზრდას სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს, წელთა სვლას მხოლოდ წარმატებები მოეტანოს მისთვის! დაე, მუდამ გვეამაყებოდე ჩვენო, თამუნა!

"სამტრედიის მაცნე"

ზიკო ჯინჭარაძე

ჩვენო საყვარელო ზიკო, შენ ჩვენი რედაქციის ძალიან ახლობელი და საყვარელი ახალგაზრდა ხარ. შენი ყოველი წარმატება შენი დედიკოსავით ჩვენც გვახარებს.

გისურვებთ ოჯახურ ბედნიერებასა და პროფესიულ წინსვლას!

"სამტრედიის მაცნე"

მადლობა

მადლობას მოვახსენებთ **გვანცა ფერაძესა და ზორენა მაისაშვილს** გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციისადმი გამოჩენილი მხარდაჭერისათვის.

მადლობა

ადამიანს ცოტა რამ ახარებს, მით უმეტეს მაშინ, როცა ამას საერთოდ არ ელოდება. ჩვენს შემთხვევაში, საახალწლო საჩუქარი სოლიდური გახლდათ, რომელმაც, მართლაც, რომ გაგვაბედნიერა.

ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის, მოულოდნელი სიხარულის მონიჭებისთვის, მადლობას ვუხდით კომპანია "არქი ჯგუფსა" და მის დამაარსებელ ილია წულაიას. შობა-ახალ წელს ვულოცავთ და ვუსურვებთ, ყოველივე საუკეთესოს!

ნათელა ღვინიძე და მაყვალა ბერიძე

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა